პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
ხუთშაბათი
20 აგვისტო
№ 192 (18134)
ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესა და მკითხველი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებში, საბჭოთა საქართველოს და მისი კომპარტიის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით ქ. თბილისში გამართულ დღესასწაულზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის გადაწყვეტილებაში დასახული უმნიშვნელოვანესი ამოცანების განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკის შემდგომ განვითარებას, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და სულიერი ცხოვრების გამდიდრებას. ამ ამოცანების შესრულებისათვის შრომისა და ბრძოლის წინა ხაზზეა საქართველოს კომპარტიის მძლავრი იდეოლოგიური იარაღი — პრესა, მასების ეს კოლექტიური აგიტატორი, პროპაგანდისტი და ორგანიზატორი.

განუზომლად დიდია ხალხის ნდობით აღჭურვილი, მკითხველთა სიყვარულით გარემოსილი პრესის როლი საბჭოთა ადამიანების სულიერ ცხოვრებაში. ეს როლი მატერიალურ ძალას იძენს ჩვენს შრომით კოლექტივებში, ფრთას ასხამს გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებას. პრესა რაზმავს ადამიანებს ხუთწლედის გეგმების სარეალიზაციოდ, მის ფურცლებზე მძლავრად აისახება მასების პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა, განსაკუთრებით დიდი ინტერესით ეცნობიან შრომითი კოლექტივები პრესაში მოწინავეთა გამოცდილებას, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს. ეს კი ტექ. სერიოზულ მოთხოვნებს უყენებს ჩვენს დროში საგამომცემლო საქმეს, პოლიგრაფიას. პრესაზე — ამ ჭეშმარიტად სულიერ საზრდოზე ხალხის სულ უფრო მზარდი მოთხოვნილება მის ორგანოთა ბეჭდვის ხარისხსაც დიდ მოთხოვნებს უყენებს. ახლა აღარ შეიძლება უგემოვნოდ გაფორმებული, ცუდად გამოცემული პროდუქცია მივაწოდოთ მკითხველს. სამწუხაროდ, ხშირად ცუდად ნაბეჭდი გაზეთი, ჟურნალი გამოდის პოლიგრაფიული საწარმოებიდან. „კომუნისტი" ხშირად იღებს და ყურადღებითაც ეკიდება მკითხველთა სიგნალებს მსგავს ფაქტებზე.

პარტიის ხელმძღვანელობით, მისი შეუნელებელი ზრუნვით გარემოსილი რესპუბლიკის პრესის მუშაკთა არმია ყოველნაირად უნდა ეხმარებოდეს საბჭოთა ადამიანებს, კარგად ერკვეოდნენ საშინაო ცხოვრებასა და საერთაშორისო ამბებში, მაქსიმალური წვლილი შეჰქონდეთ საერთო საქმეში, კომუნიზმის მშენებლობაში. პრესის მუშაკები, პოლიგრაფისტები ყოველ ღონეს უნდა ხმარობდნენ, რომ ხორცი შეასხან პარტიის მითითებებს იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ — მიაწოდონ მასებს მუყაითი კოლექტიური შრომის პროდუქტი — გაზეთი, ჟურნალი.

მას შემდეგ, რაც ეს პროდუქტი — პრესის ორგანოს მორიგი ნომერი მზად არის, ჯერი დგება იმაზე, დროულად მიუდის თუ არა იგი მასებს, დროულად და ხარისხიანს იღებს თუ არა მას ხელმომწერი, მყიდველი! როგორ დგება პრესის ორგანოს ეს ახალი, რომ ვუწყიან, „ცხელი" ნომერი მწყობრში, როგორ უდგას იგი მხარში პარტიულ ორგანიზაციას, როგორ მოქმედებს შრომით კოლექტივებში. ამ საქმეში დიდია პოლიგრაფიისა და ექსპედიციის როლი. ყველასათვის ნათელია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის გაზეთის დროულად მიღებას. იგი ხომ სადღეისო ამოცანებსაც აყენებს და ბევრი შრომითი კოლექტივის ხელმძღვანელები თავიანთ სამუშაო დღეს სწორედ გაზეთით იწყებენ.

ვერაფერი ვერ აფერხებს კეთილსინდისიერ და თავისი საქმის მოყვარულ ექსპედიტორს, მძღოლს, ფოსტალიონს, დროზე ჩააბარონ ეს-ეს არის მიღებული გაზეთი ხელმომწერს, სიხარული მიანიჭონ ადამიანებს ახალი ამბებით, ახალი სიო შეიტანონ შრომით კოლექტივებში.

კავშირგაბმულობის რაიონულ კვანძებში თბილისიდან ფოსტის მიღების საქმე, კერძოდ, ჟურნალ-გაზეთების დატარების, ადრესატებთან მიტანის მდგომარეობა უკანასკნელ ხანს საგრძნობლად გაუმჯობესდა. ფოსტას ყოველდღიურად დადგენილი განრიგის მიხედვით იღებს ხელმომწერი. თბილისიდან ფოსტის დროული მიწოდების საქმეში განსაკუთრებით ემადლიერებიან ყვარლის „სოიუზპეჩატის" თანამშრომლები მძღოლს თ. ბაგაევს, რომელსაც განრიგის დარღვევის არც ერთი შემთხვევა არ ჰქონია. მოსახლეობის სიყვარულს იმსახურებენ ცალკეული ფოსტალიონები, კეთილი სიტყვა და კეთილი გული არ უნდა მოაკლდეთ იმათ, ვინც კეთილსინდისიერად ავრცელებს პარტიულ სიტყვას — პრესას მასებში. ეს ხომ მეორე პურია, აუცილებელი სულიერი საზრდოა კომუნიზმის მშენებელი ადამიანებისათვის! ამავე დროს ზოგან ხშირად გვიან მიდის ხოლმე საფოსტო მანქანა — დილის ნაცვლად ნაშუადღევს თუ აღწევს დანიშნულების ადგილს. ბევრგან აკლიათ ფოსტალიონები. მუშაკთა ნაკლებობის გამო ხშირად კავშირგაბმულობის ადგილობრივი ხელმძღვანელნი სრულიად გაუმართლებლად ურიგდებიან იმას, რომ ზოგიერთი ფოსტალიონი არღვევს შრომის დისციპლინას და კეთილსინდისიერად არ მუშაობს.

ცხინვალის რაიონის ივრეთის, ანდორეთის, მახისის, ვილდის და სხვა სოფლების მცხოვრებლები დიდი დაგვიანებით, ზოგჯერ მესამე-მეოთხე დღეს იღებენ გაზეთებს, ზოგჯერ სულაც იკარგება ნომრები. პარტიული კომიტეტები ზრუნვას და ყურადღებას არ უნდა აკლებდნენ „სოიუზპეჩატის" ორგანოების, ფოსტის, ექსპედიციის, ტრანსპორტის მუშაობას. ისინი ხომ იდეოლოგიური ფრონტის წინა ხაზის მებრძოლებადაც ითვლებიან. მაგრამ აი, ზოგან ისიც ხდება, რომ ვერ ცვლიან შვებულებაში გასულ ან ავადმყოფ ფოსტალიონს და ჟურნალ-გაზეთების სახარისხებელ საამქროებში დახვავებულია გაუტანელი ფოსტა. ყვარელში, გურჯაანსა და ახმეტაში თბილისიდან მიღებული გაზეთების შეკვრებს თითქმის მუდამ ასობით ცალი გაზეთი აკლია. დანაკლისის ორი-სამი დღის დაგვიანებით შევსებას კი ვერ მოაქვს სასურველი შედეგი. ტყიბულელ მეშახტეთა, ისევე როგორც მთელი ქვეყნის საყვარელი გაზეთის „ტრუდის" 300 ცალი ისეთი დაჭმუჭნილ-დახეული მივიდა ადგილზე 2 აგვისტოს, რომ ხელმომწერლებს ვერც აკადრეს მათი ჩაბარება. სოფელ და პერიფერიების ძნელად მისადგომ ადგილებზე რაღა ვთქვათ, როცა თვით დედაქალაქის ზოგიერთი რაიონის ხელმომწერნიც კი დილით ვერ ღებულობენ გაზეთს და იძულებული ხდებიან კიოსკში შეიძინონ იგი. ისიც ხდება, რომ გაზეთების, კერძოდ, შაბათ-კვირის ნომრები აკლდებათ ხოლმე ხელმომწერლებს. „პურის დაკლებას ვარჩევდი, ვიდრე გაზეთის ნომრისას, რადგან ჩვენი დროის ამ დიდი მატიანის წლიურ კომპლექტს ვადგენო", — შემოგვჩივლა რედაქციაში ერთმა ხელმომწერმა.

ჩვენი პრესა — იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ეს უტყუარი იარაღი, აგიტატორისა და პროპაგანდისტის საქმიანობის დასაყრდენია. სწორედ პრესის მეშვეობით იბრძვიან ისინი შრომითი კოლექტივების იდეური სიწმინდისა და შეკავშირებისათვის, შრომითი და პოლიტიკური აღმავლობისათვის. ამიტომაც მიუტევებელი იქნება, მათ მოვაკლოთ ან დავუგვიანოთ პრესის ორგანოთა ახალი ნომრები. პოლიგრაფიული ბაზებიდან შეუფერხებლად უნდა გადიოდეს დაბეჭდილი პროდუქცია. გაზეთი ხომ ეხმარება შრომით კოლექტივებს საწარმოს ეფექტიანობის ამაღლებაში, შრომის ახალი, უფრო პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვაში, სოციალისტური შეჯიბრების გაშლაში. გაზეთი, პრესის სხვა ორგანოები ბასრი იარაღია პარტიული ორგანიზაციის, თითოეული აგიტატორის, პროპაგანდისტის ლექტორის ხელში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაშიც, სოციალისტურ ჩვევათა დამკვიდრებაშიც. შრომით კოლექტივში აგიტატორი უგაზეთოდ იგივეა, რაც ჯარისკაცი უთოფოდ ბრძოლის ველზე. დანაშაულია, დროზე არ მივაწოდოთ გაზეთი აგიტატორს, პროპაგანდისტს, საერთოდ ხელმომწერს.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია, პრესის ზოგიერთი სხვა ორგანოს აპარატი უკვე გადასულია მუშაობის ახალ, ფრიად ოპერატიულ გრაფიკზე, რაც ნომრის ბეჭდვისა და ექსპედიციისათვის ჩაბარების ყოველგვარ დაგვიანებას გამორიცხავს. გრაფიკის დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ გრაფიკს მხარი უნდა აუბას კავშირგაბმულობის სისტემამ.

პრესა და მკითხველი! ეს ორი ერთად დიდი ძალაა, ისინი ერთად უდიდეს საქმეს აკეთებენ, და მათი დაშორიშორება მიუტევებელია.

მოწინავეებს მხარი ვერ აუბეს

საავტომობილო გზიდანაც კი კარგად მოჩანს ტირიფონის ველზე მოგუგუნე კომბაინები. გორის რაიონში აღოობის ცხარე დღეებია. საშური საქმე აქვთ საკვებმომპოვებლებს. მათ ხომ უდანაკარგოდ უნდა აიღონ მთელი საკვები, რათა პირუტყვის გამოზამთრებისათვის მტკიცე ბაზა შექმნან.

პირდაპირ ვთქვათ: არცთუ შორეულ წარსულში რაიონის მეტწილ საზოგადოებრივ მეურნეობებს საკვები მარტოოდენ მეზობელი რაიონებიდან კი არა, ხშირად რესპუბლიკის გარედანაც კი შემოჰქონდათ.

როგორი ზამთარი ექნებათ რაიონის მეცხოველეებს წელეულს? სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებაში წარმოდგენილი ციფრები იმის იმედს იძლევა, რომ პირუტყვმა ნორმალურად უნდა გამოიზამთროს, იმიტომ, რომ საგეგმო 25 ათასი ტონის ნაცვლად ჩადებულია 25.167 ტონა სენაჟი. საქმე მარტო ის როდია, რომ შარშანდელზე მეტი სენაჟი ჩაიდო, გაიზარდა მისი ყუათიანობაც, ამაღლდა საკვების დამზადების ტექნოლოგიური პროცესების დონე.

თუმცა, ხიდისთავის, დიცის, ნიქოზის და შინდისის საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები ვერ უწყობენ ფეხს მოწინავე საკვებმომპოვებლებს.

როგორ აეხსნათ ის ფაქტი, რომ ნიქოზელებმა სენაჟის ჩადების გეგმა სანახევროდ შეასრულეს, ხოლო ტყვიაველებმა თითქმის ორჯერ მეტი სენაჟი ჩადეს.

რაიონში ნათესი ბალახები და ბუნებრივი სათიბები დიდძალი უხეში საკვების დამზადების ხელსაყრელ პირობებს ქმნის. დღეისათვის საზოგადოებრივ მეურნეობებში 5800 ტონა თივაა დამზადებული.

რაიონის სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ აქ გადამწყვეტი სიტყვა თქვა შრომის სწორმა ორგანიზაციამ, მატერიალური და მორალური სტიმულირების გონივრული ღონისძიებების განხორციელებამ. იქ, სადაც ბალახს ხელით თიბავენ, საკვებმომპოვებლებს გეგმის გადამეტებით მოთიბულიდან 40 პროცენტამდე საკვებს აძლევენ, დაინტერესებაა მთის ზონის საზოგადოებრივ მეურნეობებშიც. შედეგი კი ის გახლავთ, რომ ბევრ მეურნეობაში გადაჭარბებით შესრულდა თივის დამზადების დავალებები.

მაგრამ საკვების დამზადება ხომ მარტო უხეში საკვების მომარაგება არ არის. ავიღოთ თუნდაც სილოსი. რაიონში ხუთწლედის პირველ წელს ეს წვნიანი საკვები 26 ათასი ტონა უნდა ჩადონ, ზოგ საზოგადოებრივ მეურნეობაში კი სასილოსე მასის აღალები კომბაინები ჯერაც არ მოუმზადებიათ.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

საქმემ გამოარჩინა

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატმა „საბჭოთა საქართველომ" შალის ქსოვილების პირველი პარტია გამოუშვა.

განვლილი წლების მანძილზე საწარმო აღიჭურვა უახლესი მოწყობილობით, გაიზარდა მისი სიმძლავრე. მიმდინარეობს კომბინატის რეკონსტრუქცია. მარტო პირველი ნახევარწლეულის განმავლობაში გამოშვებულია 785 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

აქ ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. მოწინავეთა შორისაა საქსოვი საამქროს კოლექტივი. ენერგიულად, ენთუზიაზმით შრომობენ ახალგაზრდები. მათ პროდუქციას ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევენ. ეს საამქრო კომკავშირული ორგანიზაციის, კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის, „კომკავშირული პროჟექტორის" შტაბის ეფექტიანი მუშაობის შედეგია.

სურათებზე: თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" საქსოვი საამქრო. საამქროს „კომკავშირული პროჟექტორის" შტაბის წევრები ნ. გედენიძე, ლ. ხვინჩია და ქ. ავალიანი მორიგ ფურცელზე მუშაობისას.

ს. ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მეცხოველეობას — მტკიცე საკვები ბაზა!

ვიჩქაროთ, ამთავითვე ვიზრუნოთ პირუტყვის გამოზამთრებისათვის!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თათბირზე ითქვა, რომ მეცხოველეობის შემდგომი განვითარება წარმოუდგენელია, თუ არ იქნა მტკიცე საკვები ბაზა. ფერმები ცუდად არის უზრუნველყოფილი სრულფასოვანი საკვებით, საკვებწარმოებისათვის გამოყოფენ ყველაზე მწირ ურწყავ და გამოფიტულ ნიადაგებს, რაც თავიდანვე ქმნის მცირე მოსავლიანობის საფუძველს. ამ საქმეში გარდატეხას რომ მივაღწიოთ, უწინარეს ყოვლისა საკვებწარმოებისადმი დამოკიდებულება უნდა შევცვალოთ. გადასაწყვეტია სათესი ფართობების სტრუქტურა, საჭიროა შემუშავდეს სავარგულების პროდუქტიულობის ამაღლების კონკრეტული ღონისძიებანი.

ეს არის გადასაჭრელი პრობლემის თავიდათავი. ამასთან დაკავშირებით თავისი მოსაზრების გამოთქმა ვთხოვეთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აჯამეთის მემინდვრეობის საცდელი სადგურის დირექტორს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს ს. კახაძეს.

— საქართველოს, და კერძოდ, დასავლეთ საქართველოს დაბლობი ზონის ბუნებრივი პირობები შესაძლებლობას იძლევა წელიწადში მოვიყვანოთ საკვები კულტურების ორი მოსავალი, ინტენსიურად გამოვიყენოთ სავარგულები — თქვა მან.

ერთ-ერთი ასეთი ღონისძიებაა ტურნეფსისა და რაფსის თესვა-მოყვანა, რაც შუალედური კულტურების სახით უნდა დავნერგოთ. მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკულად გამოცდილი ეს მეთოდი სიახლე როდია. იგი 15 წლის წინათ შეიმუშავა ჩვენმა კოლექტივმა და შედეგებიც თვალსაჩინოა.

ამ კულტურებს ახასიათებს დიდი ზამთარგამძლეობა. შემოდგომის უხვი ნალექები ხელს უწყობს სწრაფ ვეგეტაციას, იძლევა დიდძალ მწვანე მასას და შესაძლებელია ნოემბრიდან აპრილამდე ფერმების უზრუნველყოფა მწვანე საკვებით, რომელიც შეიცავს მონელებადი ცილების მაქსიმალურ ოდენობას. გარდა ამისა, მათი უპირატესობა ისიც არის, რომ ითესება აგვისტოს 15 რიცხვიდან, როცა ფართობი თავისუფალია თავთავიანი კულტურებისაგან, ან სასილოსედ ნათესი სიმინდისაგან. ერთი სიტყვით, სავარგულს მთელი წლის განმავლობაში ვიყენებთ და მაქსიმალურ მოსავალს ვიღებთ.

ალბათ საინტერესოა ზოგიერთი პრაქტიკული მონაცემიც. დანერგვის პირველსავე წელს ვანის რაიონის დაბა ვანის, ციხესულორის, მთისძირის, მუქედის კოლმეურნეობებში ჰექტარზე საშუალოდ 600 ცენტნერი ტურნეფსი მიიღეს. ზამთრის პერიოდში ამდენი საკვების მიღება უდიდესი რეზერვია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იგი წველადობას თითქმის 1,5-ჯერ ზრდის, რა თქმა უნდა, კომენტარი ზედმეტია.

ხალისით შეხვდნენ ამ სიახლეს მახარაძის, აბაშის, თერჯოლის, სამტრედიის, ხობის, ზესტაფონის და სხვა რაიონები. რეკორდულ მოსავალს — ჰექტარზე 700-800 ცენტნერს მიაღწიეს ნაგომრელმა, გურიანთელმა, დიდჯიხაიშელმა, დიმელმა, სვირელმა, საზანოელმა და სხვა კოლმეურნეობათა საკვებმომპოვებლებმა.

ზესტაფონის რაიონის როდინოულის მეცხოველეობის კომპლექსის საკვებმომპოვებლებმა შარშანწინ 50 ჰექტარზე დათესეს ტურნეფსი და მინიმალური აგროტექნიკური ღონისძიებებითაც კი დიდი მოსავალი მოიწიეს. პირუტყვი მთელი ზამთრის პერიოდში უზრუნველყოფილი იყო ყუათიანი საკვებით და საკმაოდ დიდი ნაწილი სხვა საზოგადოებრივ მეურნეობებს მიჰყიდეს. მაგრამ უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს ამ კულტურისადმი. კერძოდ, დაარღვიეს მისი თესვისა და ნათესების მოვლის აგროტექნიკა. შედეგი სავალალოა — მოსავალი მთლიანად განადგურდა.

დასამალი როდია, რომ ბოლო წლებში ამ კულტურისადმი ყურადღება სხვა რაიონებშიც შენელდა, რასაც ვერაფრით ვერ გავამართლებთ. ყოველ ფერმას იმდენი ტურნეფსის ნათესი უნდა ჰქონდეს, რომ პირუტყვის მთელ სულადობას უზრუნველყოფდეს მწვანე საკვებით შემოდგომა-ზამთრის პერიოდში.

უფრო სავალალო მდგომარეობაა რაფსის თესვა-მოყვანის საქმეში. ეს ისეთი ხელსაყრელი იაფი შუალედური კულტურაა, რომ კარგი თესვის გარდა არავითარი აგროტექნიკური ღონისძიება არ სჭირდება, იძლევა მწვანე მასის დიდ მოსავალს და ყუათიანობით არ ჩამოუვარდება ცნობილ პარკოსნებს — სოიას, ბარდას, ცერცველას. იგი წელიწადში ორჯერ ითიბება, პირველად — ნოემბერ-დეკემბერში, მეორედ — გაზაფხულზე. ახლად გათიბული მასა იმავე დღეს უნდა მიეცეს პირუტყვს საკვებად.

დასანანია, რომ თესლის უქონლობის გამო იგი თითქმის არ ითესება. საჭირო კი არის რესპუბლიკაში აუცილებლად შეიქმნას რაფსის თესლის მწარმოებელი სპეციალური მეურნეობა. ამით დიდი საქმე გაკეთდებოდა.

ტურნეფსის და რაფსის თესვა-მოყვანის აგროტექნიკა აჯამეთის საცდელი სადგურის მეცნიერმა მუშაკებმა შეიმუშავეს. პროპაგანდას უწევენ ამ კულტურების პრაქტიკულად დანერგვას, მაგრამ, როგორც ფაქტები მეტყველებენ, ეს უზარმაზარი რეზერვები რატომღაც სრულყოფილად გამოყენებული არ არის.

არაზუსტი მონაცემებით, რესპუბლიკაში ამ შუალედურ კულტურებს მხოლოდ 15 ათასი ჰექტარი ფართობი უკავია, საქმე კი მოითხოვს თითოეული მათგანი 30-35 ათას ჰექტარზე ითესებოდეს, რაც ელემენტარული აგროტექნიკის პირობებშიც სულ მცირე მილიონ ტონაზე მეტ წვნიან და მწვანე საკვებს მოგვცემს.

ო. ნიქაბაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

„კომუნისტი" ეძიებს რეზერვებს

მეტი ყურადღება მწვანე კონვეიერს!

საბინაო მშენებლობის მიმდინარეობა

(საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გეგმის შესრულება 1981 წლის 1 აგვისტოსათვის)

ქალაქებისა და რაიონების დასახელება	საცხოვრებელი ფართობის გადაცემა: წლიური გეგმა	9 თვის გეგმა	ფაქტ. 7 თვე	%	სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები %-ობით
ქალაქები					
თბილისი	541085	345474	206187	59	96
ბათუმი	36508	18057	2697	14	126
გაგრა	16236	9106	—	—	85
გორი	18625	10635	8839	83	102
ზუგდიდი	18178	10814	3060	28	101
ქუთაისი	112480	68839	28836	41	95
ფოთი	25406	9719	3677	38	49
რუსთავი	44815	36022	24556	68	125
სოხუმი	37141	12320	1707	13	88
ტყვარჩელი	3842	—	—	—	106
ტყიბული	10478	4484	—	—	93
წყალტუბო	2755	2755	—	—	17
ცხინვალი	15942	11462	—	—	76
ჭიათურა	2468	414	4619	+	134
რაიონები					
აბაშის	4282	1485	1400	94	79
ადიგენის	1300	1300	—	—	9
ამბროლაურის	—	—	—	—	269
ასპინძის	85	85	—	—	117
ახალქალაქის	3128	1210	—	—	57
ახალციხის	6087	6087	2100	34	238
ახმეტის	772	772	—	—	65
ბოგდანოვკის	85	85	—	—	65
ბოლნისის	16500	14192	11815	83	117
ბორჯომის	13312	6329	—	—	80
ვანის	—	—	—	—	87
გალის	3844	2572	3100	120	11
გარდაბნის	7272	3384	—	—	24
გეგეჭკორის	2400	—	—	—	24
გორის	2432	772	—	—	106
გუდაუთის	6400	—	—	—	44
გულრიფშის	8257	8257	6658	80	91
გურჯაანის	3305	2865	942	32	112
დმანისის	2124	2124	—	—	4
დუშეთის	7579	4024	2355	58	105
ზესტაფონის	11761	7297	876	12	40
ზნაურის	—	—	—	—	46
ზუგდიდის	4383	2483	3247	130	77
ყაზბეგის	1086	1086	—	—	12
ქარელის	6380	—	—	—	85
კასპის	857	857	—	—	132
ყვარლის	1333	1333	1344	100	212
ქედის	85	85	—	—	188
ქობულეთის	14510	7990	7807	97	135
ლაგოდეხის	40	40	—	—	—
ლანჩხუთის	2955	2955	85	2	67
ლენინგორის	1335	1335	—	—	94
ლენტეხის	2932	2932	—	—	77
მარნეულის	9040	5684	4912	86	125
მახარაძის	7209	5457	—	—	16
მაიაკოვსკის	1210	—	—	—	92
მესტიის	1080	1080	—	—	123
მცხეთის	5000	3500	3560	101	151
ონის	—	—	—	—	133
ორჯონიკიძის	—	—	—	—	116
ოჩამჩირის	3756	1184	—	—	100
საგარეჯოს	5793	3993	3221	80	89
სამტრედიის	9309	2491	—	—	58
საჩხერის	—	—	—	—	113
სიღნაღის	1967	621	1244	200	66
სოხუმის	3617	497	—	—	30
თელავის	7368	4567	—	—	87
თერჯოლის	63	63	—	—	188
თეთრი წყაროს	1857	1257	772	61	102
თიანეთის	—	—	—	—	267
ხაშურის	5470	5470	6114	111	73
ხელვაჩაურის	7314	6765	2316	34	42
ხობის	7295	2135	772	36	43
ცაგერის	1939	90	90	100	91
წალენჯიხის	4800	997	—	—	42
წალკის	1785	1785	—	—	42
წითელწყაროს	14342	1770	—	—	45
წულუკიძის	2692	2692	2692	100	290
ცხაკაიას	4232	4232	—	—	128
ცხინვალის	—	—	—	—	—
ჩოხატაურის	2119	2119	70	3	76
ჩხოროწყუს	4057	4057	2932	72	62
შუახევის	—	—	—	—	200
სულ რესპუბლიკაში	1124678	686632	354602	52	

როგორც ცხრილიდან ჩანს, მთლიანად რესპუბლიკაში 9 თვის განმავლობაში საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 686 ათასი კვადრატული მეტრი საერთო საცხოვრებელი ფართობი. 7 თვის განმავლობაში გადაცემულია 354 ათასი კვადრატული მეტრი. წლის ბოლომდე დარჩენილ დროში საჭიროა საექსპლოატაციოდ გადაეცეს თითქმის იმდენივე, რამდენიც გადაცემული იყო მიმდინარე წლის 7 თვეში.

საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემაში მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ქალაქები ბათუმი, სოხუმი, გაგრა, ცხინვალი, ტყიბული, წყალტუბო; ზესტაფონის, ლანჩხუთის, ხელვაჩაურის, ხობის, ჩოხატაურის რაიონები.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულების მხრივ განსაკუთრებით ძლიერ ჩამორჩებიან ქ. წყალტუბოში, ადიგენის, გარდაბნის, გეგეჭკორის, დმანისის, ყაზბეგის, მახარაძის, სოხუმის, ხობის, ხელვაჩაურის, წალკის, წალენჯიხის, წითელწყაროს რაიონებში.

(საქინფორმი).

სასკოლო მშენებლობა დამკვრელური უბანია

ყველა ერთნაირად რომ ზრუნავდეს...

სექტემბერს ყველანი, დიდი და პატარა, ისე მოველით, როგორც ზეიმს. იოლი წარმოსადგენია, რაოდენ ხალისს მატებს მოსწავლეებსა და პედაგოგიურ კოლექტივს მშობლიური სკოლის განახლება და გაახალგაზრდავება. ყოველი სიახლე თვალსაც ატკბობს და სულსაც, დრომოჭმული, ჟამთა სვლისაგან ამორტიზებული შენობიდან მრავალსართულიან კაპიტალურ შენობაში გადასვლის სიხარულს ხომ არაფერი შეედრება.

და რა გულსატკენია, როცა ასეთ მოლოდინს მშენებლები გააწბილებენ ხოლმე! განა დამაფიქრებელი ფაქტი არ გახლავთ ის, რომ აჭარაში მშენებლებს არც სასკოლო მშენებლობის გეგმები შეუსრულებიათ ოდესმე და არც მშენებლობის ხარისხისათვის გამოუდვიათ თავი?! თითქოს ტრადიციად დაემკვიდრებინოთ ასეთი მანკიერი სტილი. ბევრ ვაი-მშენებელს დაუსჯელობა ახალი უპასუხისმგებლობისა და გულგრილობისაკენ უბიძგებს.

მაგალითებისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. ქედის საშუალო სკოლის საექსპლოატაციოდ გადაცემის აქტზე რაიაღმასკომის მიმღებმა კომისიამ საერთო მშენებლობის № 5 ტრესტის პირველი სამმართველოს მესვეურებს შარშან ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ მოუწერეს ხელი. „ჩაბარება" ისე მოხდა, რომ ფაქტობრივად მშენებლობა დამთავრებული არ იყო. განა ეს არ არის აშკარა სიყალბე და დანაშაული? ამის შემდეგ მშენებლობა კიდევ რამდენიმე თვეს გაგრძელდა. იერიშობანას დეფექტები მოჰყვა, რომლებსაც მთელი წელიწადი ასწორებდნენ და ჯერაც ვერ გამოუსწორებიათ. მშენებლები ზუსტად ასე აჭიანურებენ იმავე სოფლის სასკოლო ინტერნატის რეკონსტრუქციასაც.

თავის დროზე საყვედურები ითქვა ხულოს რაიონის ყინჩაურისა და დიოკნისის სკოლების მშენებლების მიმართ (სასოფლო მშენებლობის მე-15 ტრესტი). ახლა აქ მუშაობა დღე და ღამ არ წყდება, ცდილობენ, ობიექტი დროულად ჩააბარონ, მაგრამ მშენებლებმა იმისთვისაც უნდა იბრძოლონ, რომ მათი ნახელავი ხარისხიანი იყოს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგან მშენებლები ბევრად უკეთ მუშაობენ, ვიდრე წინა წლებში. ეს საქმესაც ეტყობა. მაგალითად, ქობულეთის რაიონის ზედა სამების სკოლა სექტემბრისათვის მზად იქნება. საამისოდ ძალ-ღონეს არ იშურებს სასოფლო მშენებლობის № 15 ტრესტის მე-9 მოძრავი მექანიზებული კოლონა (უფროსი ო. ცეცხლაძე). იქ, სადაც მშენებლობა ფართო ფრონტით არის გაშლილი, შედეგებიც შესანიშნავია.

კარგი მდგომარეობაა ქობულეთის რაიონის ჩაისუბნის საშუალო სკოლის მშენებლობაზეც. დილის რვა საათი იყო, ობიექტზე რომ მივედით. მშენებლები ადრე დილიდან შესდგომოდნენ საქმეს. მათთან ერთად იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხ. ყურშუბაძე. იგი ისე შეჰხაროდა მშენებლობას, როგორც სისხლხორცეულად მახლობელ საქმეს. ქობულეთელმა შრომელებმა თავი გამოიჩინეს საინიციატივო მშენებლობით. სწორედ ერთ-ერთი ასეთი ობიექტია ჩაისუბნის საშუალო სკოლა. სოფელმა ადრე სკოლა-ინტერნატი ააგო, ახლა აგერ, ასეთი თვალშისაცემი შენობა წამოჭიმეს. ფული გვაქვს, ამაზე უკეთეს საქმეს რას გავაკეთებთო, გვითხრა ცნობილმა მეურნემ, სოფლის თავკაცმა ხასან ყურშუბაძემ. სკოლას აშენებს საკოლმეურნეო მშენებლობის საბჭო (უფროსი რ. წულუკიძე). კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მთხოვა, ორიოდე თბილი სიტყვა მშენებელ ინჟინერზე თ. თოიძეზე მეთქვა. ახალგაზრდა კაცია, ისეთი მონდომებით შრომობს, მთელ სოფელს შეაყვარა თავი.

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩიქუნეთში სასოფლო მშენებლობის მე-15 ტრესტი სწრაფი ტემპით აშენებს სკოლას. ამჟამად მიმდინარეობს მოპირკეთების სამუშაოები. ცდილობენ, შენობა პირველი სექტემბრისათვის მზად იყოს. დიდი მოცულობის სამუშაოები შეასრულეს საერთო მშენებლობის მეხუთე ტრესტის მშენებლებმა ხულოს რაიონულ ცენტრში 720 მოსწავლისათვის და ქ. ბათუმში 1.200 მოსწავლისათვის გათვალისწინებული სკოლების მშენებლობაზე. მიუხედავად ამისა, საეჭვოა, რომ შენობები პირველი სექტემბრისათვის მზად ჰქონდეთ. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე განსაკუთრებით აუცილებელი იყო ბათუმის მეათე სკოლის ახალი შენობის დამთავრება. საქმე ის არის, რომ ახალი სკოლის მშენებლობასთან დაკავშირებით მთელი სკოლა სხვის ჭერს შეხიზნებია, რაც მრავალ სიძნელეს ქმნის.

განსაკუთრებით ჩამორჩება შუახევის რაიონის ბარათაულის სკოლის მშენებლობა (აშენებს საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის საბჭო. (უფროსი ი. ქამადაძე). ეს სკოლა საექსპლოატაციოდ შარშან უნდა გადაცემულიყო, შენობა კი ჯერ გადახურულიც არ არის. განვლილ 6 თვეში უნდა აეთვისებინათ 155 ათასი მანეთი, აითვისეს 42 ათასი. ასე თუ გაგრძელდა, რა თქმა უნდა, არც წელს დამთავრდება. საკითხავია, ასეთი ჩამორჩენის დასაძლევად რაიმე ქმედით ღონისძიებებს თუ მიმართეს ზემდგომმა ორგანოებმა? რაღაც არ იგრძნობა!

აღსანიშნავია კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი. სახელმწიფო ბიუჯეტით მშენებლებს წელს უნდა აეთვისებინათ 1.291 ათასი მანეთი. 6 თვეში ათვისებულია 662 ათასი მანეთი. თითქოს ცუდი მაჩვენებელი არ არის, მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ ძირითადი თანხა პირველ სექტემბრამდე უნდა აეთვისებინათ. რაკი ეს ასე არ მოხდა, ვნახოთ რა მდგომარეობა იქნება წლის ბოლოს. მშენებლებმა ამოცანად უნდა დაისახონ, არ დაიკარგოს სასკოლო მშენებლობისათვის გამოყოფილი არც ერთი მანეთი. ამას მოითხოვს ჩვენგან პარტია, ამას გვავალებს მომავალი თაობის აღზრდის ინტერესები.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტს, ადგილობრივ სახალხო კონტროლის ორგანოებს რჩევა მიეცათ უფრო სრულად გამოიყენონ შესაძლებლობანი, რათა ჩააბან მშრომელთა ფართო მასები საწარმოო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროსადმი კონტროლის უშუალო განხორციელებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან — „სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად შესრულების კონტროლისა და შემოწმების შემდგომი სრულყოფის შესახებ".

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

ქმედითობის სათავეები

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა იმსჯელა და სათანადო დადგენილება მიიღო ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლაში რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის გააქტიურების ღონისძიებათა შესახებ, რომელშიც გაანალიზებულია ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა და დასახულია შემდგომი მოქმედების კონკრეტული გზები.

სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოებმა უკანასკნელ ხანს გააქტიურეს ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნათა საფუძველზე. ამასთან სახალხო კონტროლის ადგილობრივმა კომიტეტებმა წლევანდელი წლის პირველნახევარში განიხილეს საშემსრულებლო დისციპლინის მდგომარეობის, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების 381 საკითხი. სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის დაისაჯა 671 თანამდებობის პირი.

სახალხო კონტროლის რესპუბლიკური და ადგილობრივი კომიტეტები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მშრომელთა ფართოდ ჩაბმას, შემოწმებათა საჯაროობას, კონტროლის ქმედითობის ამაღლებას.

და მაინც, სახალხო კონტროლის ორგანოთა მუშაობაში ჯერ კიდევ ვხვდებით ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის, მშრომელთა მოთხოვნებისადმი უყურადღებო დამოკიდებულების ცალკეულ შემთხვევებს. სახალხო კონტროლის ზოგიერთ რაიონულ კომიტეტს არც კი განუხილავს ასეთი საკითხი და არ დაუსახავს ღონისძიებანი ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ზოგიერთმა კი საერთოდ შეასუსტა მომთხოვნელობა თანამდებობის პირებისადმი, რის შედეგად ვხვდებით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების და საქმის გაჭიანურების ფაქტებს.

ზოგიერთი შემოწმება სრულად ვერ ასახავს საწარმოს საქმიანობის ძირითად საკითხებს. 10 კომიტეტს საერთოდ არც განუხილავს სოციალისტური საკუთრების დაცვის საკითხი, 12 კომიტეტში არ შეუსწავლიათ სახალხო კონტროლის ჯგუფების მუშაობა, მათი წინადადებანი, ზოგჯერ კომიტეტები არ იძლევიან კონკრეტულ რეკომენდაციებს გამოვლენილ ნაკლოვანებათა და დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ.

ფორმალიზმი და ბიუროკრატიზმი სხვადასხვა სახით ვლინდება მშრომელთა წერილებისა და საჩივრების განხილვის, მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის დროს.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა ამ საკითხზე მოხსენებითი ბარათი დაუგზავნა რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტებს და დაავალა მათ საჭირო ღონისძიებანი განახორციელონ სახალხო მეურნეობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერებისათვის, საკონტროლო მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფისათვის, ჯგუფებისა და საგუშაგოებისათვის გეგმაზომიერი, სისტემატური და ქმედითი დახმარების გასაწევად, იზრუნონ საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

ერთობლივად, გაბედულად, შეუპოვრად

ეწყო სამ ზონად — თბილისში, ფოთსა. და ხაშურში.

ეს იყო კონტროლისა და პროკურატურის ხელმძღვანელ მუშაკთა პირველი შეკრება, რომელმაც განსაზღვრა ერთობლივი მოქმედების ამოცანები სოციალისტური კანონიერების, სახელმწიფო დისციპლინის დარღვევების, სახალხო დოვლათის ხელყოფის, უყაირათობის, მფლანგველობის, ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერებისათვის.

განიხილეს მოსავლის უდანაკარგოდ აღების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის, პირუტყვის საკვების დამზადების, მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებსა და ორგანიზაციებში წესრიგის დამყარების ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების გაძლიერების საკითხები.

საუბრები ძირითადად ამ საკითხების გარშემო მიმდინარეობდა, მაგრამ მან უფრო ფართო ხასიათი მიიღო და პროკურატურისა და სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობის ძირითად მიმართულებათა სხვა დარგებიც მოიცვა.

კონტროლისა და პროკურატურის ორგანოები უკანასკნელ წლებში უფრო გეგმაზომიერად, მიზანმიმართულად და შეურიგებლად მოქმედებენ სახელმწიფო დისციპლინის დარღვევების, ყოველგვარი დანაშაულებრივი მოვლენების წინააღმდეგ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თავიანთი საქმიანობის კოორდინაციას, შეიძინეს ერთობლივი საქმიანობის დადებითი გამოცდილება.

ეფექტიანი იყო ერთობლივი შემოწმებები „საქნავთობმომარაგებაგასაღების" სისტემაში, აღიძრა არაერთი სისხლის სამართლის საქმე, დამნაშავეები ღირსეულად დაისაჯნენ. დადებითი შედეგები გამოიღო სახელმწიფო დისციპლინის დაცვის შესახებ კანონების შესრულების შემოწმებამ ჯავისა და ცხინვალის რაიონებში. ამჟამად რესპუბლიკაში მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მოვლა-შენახვის შემოწმება. დადებითი ტენდენციები დაისახა პროკურატურისა და სახალხო კონტროლის ადგილობრივი ორგანოების ერთობლივ მუშაობაშიც. ამ მხრივ კარგ მაგალითებს იძლევიან ჭიათურის, ფოთის, ბათუმის, გურჯაანისა და გორის პროკურატურები და სახალხო კონტროლის კომიტეტები.

თათბირ-სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა ინფორმაციები დღის წესრიგის ცალკეულ საკითხებზე. ამ ინფორმაციებსა და პროკურატურისა და სახალხო კონტროლის მუშაკთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ მოსავლის აღების დროს საჭიროა სახალხო კონტროლიორთა მახვილი თვალი სწვდებოდეს ყველა უბანს, კუთხეს, კუნჭულს, სადაც წყდება მოსავლის ბედი. ადმინისტრაციული და სახალხო კონტროლის ორგანოები მხარდამხარ აქტიურად უნდა მოქმედებდნენ მარცვლეულის უდანაკარგოდ აღებისათვის, პირუტყვის საკვების დამზადებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. საჭიროა აღიკვეთოს სასოფლო სამეურნეო პროდუქტების წვრილმანი დატაცებისა და სპეკულაციის ფაქტები, გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოეცხადოთ მექრთამეობასა და პარაზიტებს.

არსებითი მნიშვნელობა აქვს მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომჭირნე გამოყენებას. ჯერ კიდევ ბევრია ისეთი საწარმო და ორგანიზაცია, რომლებიც უმოწყალოდ ფლანგავენ მატერიალურ რესურსებს, არ ერიდებიან ელექტროენერგიის ხარჯვას. ეკონომიკის რეჟიმის დარღვევების, უყაირათობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ ბრძოლა ბევრ შემთხვევაში ფორმალური ხასიათისაა.

დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში. სერიოზულ შეშფოთებას იწვევს მასობრივი მოთხოვნილების საქონლის ვაჭრობის ორგანიზაციაში არსებული ხარვეზები. უკონტროლობის შედეგად ვაჭრობაში ჯერ კიდევ ლაღად გრძნობენ თავს საქმოსნები და კომბინატორები, ბევრი საქონელი სპეკულაციურ ფასებში იყიდება. ხშირია მომხმარებელთა ზომა-წონაში, ანგარიშში მოტყუების ფაქტები, სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი მატერიალურ ფასეულობათა დაცვა-შენახვა, დიდია დებიტორული დავალიანებებით, გაფლანგვით, დატაცებით გამოწვეული ზარალი. ყოველივე ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ერთიანი ფრონტი მომსახურების სფეროში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად. პროკურატურისა და სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობა ამ მიმართულებით ნაკლებად ეფექტიანია.

არ არის დაძლეული უსისტემო შემოწმებათა მანკიერი პრაქტიკა, სათანადოდ არ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნები იმის შესახებ, რომ სათანადო სიფრთხილე და წინდახედულობაა საჭირო იმ პირთა შერჩევაში, რომლებსაც შემოწმებას აკისრებენ.

სემინარზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სათანადო შეფასება არ ეძლევა სახელმწიფო დოვლათის განიავებისა და გაფუჭების ცალკეულ ფაქტებს, ზოგიერთი ხელმძღვანელი შეეჩვია ამ პრობლემის უმარტივესი გზებით და საშუალებებით გადაწყვეტას. ნორმალურად არის მიჩნეული, როცა ათასობით ადამიანის დაუღალავი გარჯით შექმნილი მატერიალური ღირებულება შეიძლება კალმის ერთი მოსმით ჩამოიწეროს. გაკვირვებას იწვევს ის, რომ ასეთი მუშაკები მკაცრი პასუხისგების ნაცვლად ზოგჯერ სრულიად დაუსჯელნი რჩებიან.

ყურადღების ცენტრში იდგა ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ მიმართულებით დიდ მოთხოვნებს უყენებენ პროკურატურასა და სახალხო კონტროლის ორგანოებს. აშკარა ფორმალიზმია, როცა საკითხების განხილვის დროს სათანადო პასუხს არ ვთხოვთ თანამდებობის პირებს. ზოგჯერ სახალხო კონტროლის კომიტეტი, ან ჯგუფი გატაცებულია შემოწმებათა რაოდენობით და არა ხარისხით. რა თქმა უნდა, ფორმალიზმია ისიც, როცა ღონისძიებას ვახორციელებთ არა საქმის ინტერესებისათვის, არამედ მოსაჩვენებლად.

ხაზი გაესვა ერთ მნიშვნელოვან მომენტსაც: სახალხო კონტროლის საქალაქო და რაიონული კომიტეტები არცთუ იშვიათად აყენებენ საფუძვლიან პრეტენზიებს იმის შესახებ, რომ მათ მიერ გადაცემულ მასალებს პროკურატურაში არ ეძლევა დროული მსვლელობა. ზოგიერთი საქმე მართლაც რომ ლოგიკურ დაბოლოებამდე არ მიდის, პროკურატურა პასუხსაც არ უგზავნის სახალხო კონტროლის კომიტეტს. ამასთან არცთუ იშვიათად არის შემთხვევები, როცა დანაშაულის თუ კანონის დარღვევებზე სახალხო კონტროლის კომიტეტებში პირველადი მასალები შედგენილია უხარისხოდ. საჭიროა გადაჭრით გაძლიერდეს ერთობლივი ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დატაცების, წამატებებისა და თვალისახვევების წინააღმდეგ. უნდა გაძლიერდეს კონტაქტები დანაშაულის, დამახინჯებებისა და დარღვევების პროფილაქტიკისათვის. ამ მიზნით საჭიროა გამოვიყენოთ სახალხო კონტროლის მასობრიობა და პროკურატურის ორგანოების მაღალი კვალიფიკაცია. ასევე უნდა გავაძლიეროთ თანამშრომლობა განცხადებების, საჩივრების, წერილების განხილვის საქმეში.

აღინიშნა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტისა და რესპუბლიკის პროკურატურის საქმიანი ურთიერთობის დადებითი ტენდენციები. გამოითქვა აზრი, რომ საჭიროა შევისწავლოთ და განვაზოგადოთ ამ ორგანოების ერთობლივი მუშაობის დადებითი პრაქტიკა ერთი რომელიმე რეგიონის დონეზე და ამის შესაბამისად მივიღოთ სათანადო რეკომენდაციები.

ყურადღება გამახვილებული იყო აგრეთვე პროკურატურისა და სახალხო კონტროლის ორგანოებს შორის ინფორმაციების გაცვლის ერთობლივი საქმიანობის საჯაროობაზე.

თათბირ-სემინარზე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ო. მელქაძემ და საქართველოს სსრ პროკურორმა ა. ბარაბაძემ.

ახლა მთავარი ის არის, რომ სახალხო კონტროლისა და პროკურატურის ორგანოებმა მაქსიმალურად გაითვალისწინონ თათბირ-სემინარზე გამოთქმული შენიშვნები და საქმიანი წინადადებანი, უფრო სრულყონ ერთობლივი საქმიანობის ფორმები და მეთოდები, იმოქმედონ გაბედულად და შეუპოვრად.

გ. კვარაცხელია,

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე.

მასების კონტროლით

ხალხის ფხიზელი თვალი

გვერდი № 178

ადგილობრივ კომიტეტებში

უდარდელობა დანაშაულია

ამბროლაურის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტში მამხილებელი წერილი მიიღეს: იმის გამო, რომ ყველ-კარაქის ქარხნის დირექტორი ა. საგანელიძე გულგრილად ეკიდებოდა საქმეს, წარმოებაში მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობენ ადრე დასჯილი პირები — მთავარი ბუღალტერი შ. გოგობერიშვილი და მეკუჭნავე ა. ცაგურიშვილი. შემოწმებით დადგინდა, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერებოდა.

საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს კოლეგიამ თავის დროზე შ. გოგობერიშვილს სასტიკი საყვედური გამოუცხადა მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებისათვის, ამასთან სხვა ღონისძიებებიც დასახა, მაგრამ ყველ-კარაქის ქარხნის დირექტორმა ა. საგანელიძემ შემდეგ უმართებულოდ გააჭიანურა საქმე და სამინისტროს მითითება მხოლოდ 7 თვის შემდეგ შეასრულა.

ისიც აღსანიშნავია, რომ ა. საგანელიძემ შეუმოწმებლად მიიღო მატერიალურად პასუხსაგებ სამუშაოზე რაიკოოპერატივის № 1 სასურსათო მაღაზიის ყოფილი გამგე-გამყიდველი ა. ცაგურიშვილი, რომლის მიმართ შემდგომში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა სახელმწიფო თანხის საკასო წესების დარღვევისათვის.

კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა ყველ-კარაქის ქარხნის დირექტორს ა. საგანელიძეს სასტიკი საყვედური გამოუცხადა. ასეთივე სასჯელი დაედო რაიკოოპერატივის სავაჭრო განყოფილების გამგეს დ. ბეშიძეს, რომელმაც გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულების პერიოდში დადებითი დახასიათება მისცა ა. ცაგურიშვილს. ახლა მთავარი ბუღალტერი შ. გოგობერიშვილი და მეკუჭნავე ა. ცაგურიშვილი განთავისუფლებული არიან სამუშაოდან.

წამატება და თვალის ახვევა

სახელმწიფო ბანკის აჭარის კანტორის შუახევის რაიონულმა განყოფილებამ და სახალხო კონტროლის კომიტეტმა ერთობლივი შემოწმების შედეგად „საქსოფლმონტაჟკომპლექტის" ხელვაჩაურის № 5 სპეციალიზებული მოძრავ-მექანიზებული კოლონის (უფროს ლ. ინაიშვილი, მთავარი ინჟინერი ო. ქაჯაია) და შუახევის საკოლმეურნეობათაშორისო საბჭოს (თავმჯდომარე ი. ქამადაძე, მთავარი ინჟინერი ო. მუხაბეჯანოვი) ობიექტების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე გამოავლინეს წამატებებისა და თვალის ახვევის ფაქტები.

სამუშაოები უხარისხოდ იყო შესრულებული სოფელ ტბეთის მეცხოველეობის ფერმის საკვების დამამზადებელი საამქროს ობიექტზე, სადაც წამატებული აღმოჩნდა 26 ათასი მანეთი, ხოლო შუახევის სამეურნეობათაშორისო ობიექტებზე — 7 ათასი მანეთი. სოფელ დღვანის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მშენებლობაზე გამოვლინდა 3.500 მანეთი წამატება.

შუახევის მშენებლობის ტექნიკურმა ზედამხედველმა გ. მსახურაძემ პრინციპული შეფასება არ მისცა უხარისხო მშენებლობის წამატებებისა და თვალის ახვევის ფაქტებს. ტბეთისა და დღვანის კოლმეურნეობათა გამგეობის თავმჯდომარეები ო. აბუსელიძე და ნ. ფუტკარაძე შუახევის სამეურნეობათაშორისო საწარმოს ხელმძღვანელი ა. ზოიძე, რომლებმაც მოაწერეს ხელი ობიექტების მიღება-ჩაბარებაზე, საერთოდ უყურადღებობას იჩენენ და არ ზრუნავენ დარჩენილი სამუშაოთა შესრულებისათვის.

კონტროლის კომიტეტმა ტექნიკურ ზედამხედველს გ. მსახურაძეს სასტიკი საყვედური გამოუცხადა. ო. აბუსელიძის, ნ. ფუტკარაძის, ა. ზოიძის და ი. ქამადაძის პასუხისმგებლობის საკითხი განსახილველად გადაეცა პარტიის შუახევის რაიკომს. ლ. ინაიშვილისა და ო. ქაჯაიას საკითხს განიხილავს აჭარის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტი.

დადგენილება უნდა შესრულდეს

ხარისხი მთავარი საზრუნავია

რძისა და ხორცის წარმოებისა და ხარისხის ამაღლებისათვის გაწეული მუშაობის ორგანიზაციის საქმეში გამოვლენილი სერიოზული ნაკლოვანებები გახდა ამას წინათ ონის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის მსჯელობის საგანი.

მიუხედავად არა ერთი მითითებისა, საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა დაუდევრობით, მოწყობილი არ არის რძის მიმღები ბლოკები. ფერმებში მისასვლელი გზები უვარგისია და ცუდ ამინდში ავტომანქანების მოძრაობა ძნელდება. რძის შემაგროვებელ შენობებში არ არის შეყვანილი წყალი, არ დაუდგამთ სარეცხი მოწყობილობა და თაროები, მომსახურე პერსონალს არა აქვს სპეცტანსაცმელი და ვერ იცავენ სანიტარიულ-ჰიგიენურ წესებს.

ზოგიერთ საბჭოთა მეურნეობაში ფორმალურად არსებობენ რძის ხარისხის განმსაზღვრელი ლაბორატორიები. მათ არ გააჩნიათ რძის მჟავიანობისა და სხვა ხარისხობრივი მაჩვენებლების განმსაზღვრელი აპარატები. ამიტომ არის, რომ ასეთი ლაბორატორიები მხოლოდ ცხიმიანობისა და ფიზიკური წონის განსაზღვრით კმაყოფილდებიან.

კონტროლიორებმა სერიოზული ნაკლოვანებები შენიშნეს ყველ-კარაქის ქარხნის კოლექტივის მუშაობაში. აქ არა აქვთ შედგენილი მეურნეობებიდან რძის მიღების გრაფიკი. ფერმებიდან ქარხანაში რძეს დაულუქავი ჭურჭლით ეზიდებიან, რაც ყოვლად შეუწყნარებელია. ყველ-კარაქის ქარხნის ლაბორატორიაში (ლაბორანტი — ლ. მეტრეველი) შემოსული პროდუქციის ხარისხის მაჩვენებლების შევსება ფიქციურია და, ცხადია, არ გამოხატავს ნამდვილ მდგომარეობას. ამიტომაც არის დიდი განსხვავება ქარხნისა და მეურნეობების მიერ განსაზღვრულ რძის ცხიმიანობის მაჩვენებლებში. ზოგჯერ ეს განსხვავება 0,6 პროცენტსაც კი აღწევს.

გამოვლინდა ისიც, რომ ყველ-კარაქის ქარხანა ყოველდღიურად არ ურიცხავს მეურნეობას ყველისა და ერბოს ღირებულებას. სისტემატურად ირღვევა აგრეთვე რძის ღირებულების გადახდის ვადაც. მაგალითად, შარშან ქარხანამ მეურნეობიდან მიღებული პროდუქტების ღირებულების გადახდა ოთხი თვით დააგვიანა. მდგომარეობა არც წლეულს გამოსწორებულა. გასული წლის ნოემბერ-დეკემბერში მეურნეობიდან მიღებული რძისა და მისი პროდუქტების ღირებულების სოლიდური თანხა — 32.575 მანეთი ქარხანამ მომწოდებელს იანვრის ბოლოს გადაუხადა. ყოველივე ამან გააუარესა შეუბნის, სორის, უწერისა და ღების საბჭოთა მეურნეობების ფინანსური მდგომარეობა, უარყოფითად იმოქმედა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ამითაც უნდა ავხსნათ ის, რომ შარშან წინა წელთან შედარებით წარმოებული რძის ცხიმიანობის ხარისხი უწერის საბჭოთა მეურნეობის აგროგანყოფილებაში 10,5 პროცენტით შემცირდა, ნაკიეთის განყოფილებაში — 5,7 პროცენტით, სორის საბჭოთა მეურნეობის სორის განყოფილებაში—2 პროცენტით, ხოლო ქვემო ბარის განყოფილებაში — 5 პროცენტით. ახლა, როცა ხარისხისათვის ბრძოლა უწინარეს ამოცანად არის გამოცხადებული, ეს ციფრები სამართლიან აღშფოთებას იწვევს.

კიდევ უფრო საგანგაშო მდგომარეობაა პირუტყვის მიღება-ჩაბარებისა და ხორცის წარმოების ხარისხის ამაღლების საქმეში. რაიონის თითქმის ყველა საბჭოთა მეურნეობაში მოშლილია პირუტყვის სუქების ორგანიზაცია, რაც დიდ ზიანს აყენებს საზოგადოებრივ ეკონომიკასა და ხორცის პროდუქტების წარმოების ხარისხს. იმაზე თუ როგორ არ უნდა ხელმძღვანელობდნენ დარგს, ნათლად მეტყველებს შეუბნის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ი. ბერიშვილი) მუშაობის მაგალითი. აქ ერთი კილოგრამი საქონლის ხორცის წარმოებაზე შარშან დაიხარჯა 22 კილოგრამი საკვები ერთეული — ორჯერ მეტი, ვიდრე ნორმით არის გათვალისწინებული. მიუხედავად ამისა შეუბნელები სისტემატურად დაბალი კონდიციის პირუტყვს აბარებენ სახელმწიფოს. მათ მხლე პირუტყვის ჩაბარებით შარშან 5.086 მანეთი იზარალეს. მეურნეობის უყაირათო გაძღოლით კიდევ უფრო დიდი ზარალი ნახა სორის საბჭოთა მეურნეობამ. აქ მხლე პირუტყვის ჩაბარების შედეგად 9.920 მანეთი იზარალეს. ასევე ზარალი ნახეს უწერისა და ღების საბჭოთა მეურნეობებმა, პირველმა — 4.336 მანეთი, მეორემ — 1194 მანეთი.

ყოველივე ეს იმის გამოც მოხდა, რომ საბჭოთა მეურნეობები სათანადო ზედამხედველობას არ უწევენ ინტენსიური სუქებისა და რაციონალური კვების ორგანიზაციას. სისტემატურად ირღვევა პირუტყვის ჯოგიდან გამოყვანისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების წესები. ჩასაბარებელ პირუტყვს თან არ ახლავს სანახირო უწყისი, რაც დანაშაულია. ამ უწყისის შევსება ხდება ბაზებში პირუტყვის ფაქტიური ჩაბარების შემდეგ, რაც სიყალბის ჩადენის ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

მოყვანილი ფაქტები დამაფიქრებელია. ამიტომ იყო, რომ კონტროლის კომიტეტის სხდომაზე პრინციპული სჯა-ბაასი გაიმართა. კონტროლიორებმა დასახეს ღონისძიებები მდგომარეობის გამოსასწორებლად. ახლა დღის წესრიგშია ამ დადგენილების ბოლომდე შესრულება.

ვ. ცირეკიძე.

საკ. კორ.

სახალხო კონტროლი მოქმედებს

თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანის" კოლექტივი ყოველ ღონეს ხმარობს მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. მკერავებმა სოციალისტური ვალდებულებით იკისრეს მთლიანი პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა შეასრულონ 28 დეკემბრისათვის, გაახალონ 250 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, მიაღწიონ იმას, რომ სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიეკუთვნოს სამი სახეობის პროდუქციას.

სამკერვალო ნაწარმის გაუმჯობესებაში დიდი წვლილი შეაქვთ ფაბრიკის სახალხო კონტროლიორებს. საწარმოში ერთ-ერთი საუკეთესოა ჯგუფი, რომელსაც ტექნოლოგი ს. სიხაშვილი მეთაურობს.

სურათზე: სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრები (მარცხნიდან) ინჟინერი ვ. ტოლაძე, ტექნოლოგი ს. სიხაშვილი და მკერავი ლ. ალადაშვილი ამოწმებენ პროდუქციის ხარისხს.

ნ. ვარდიაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

შემოწმების ძალა, ეფექტი

პირადი მაგალითი

ქობულეთის რაიონში არის თვალწარმტაცი სოფელი ზედა ულიანოვკა. დროული ხალხის გადმოცემით, რევოლუციამდე ეს ადგილები მეფის მოხელეებს ეკუთვნოდათ. გორაკებზე რამდენიმე აგარაკი იყო აშენებული, დანარჩენი ადგილები ტყეებს ეჭირა.

ახლა? სოფელში ხუთასამდე კომლია. საითაც არ გაიხედავთ, თეთრად მოქათქათე ქვიტკირის სახლები, ციტრუსებით დაბურული გორაკები და მწვანედ აჩქრილი ჩაის პლანტაციები მოჩანს. ყოველი მტკაველი მიწა გამრჯე გლეხკაცს აუყვავებია და ხალხის სამსახურში ჩაუყენებია. ზედაულიანოვკელები ყოველწლიურად ქვეყანას რვაას ტონაზე მეტ ჩაისა და ათასობით ტონა ციტრუსს უმზადებენ. თვალისჩინივით არის მოვლილი როგორც საზოგადოებრივი სექტორის პლანტაციები, ისე საკარმიდამო ნაკვეთები.

— მაგრამ გასაკეთებელი ბევრი გვაქვს, — გვეუბნება კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის თავმჯდომარე, აგრონომი ილია თევზაძე. — ჯერ კიდევ წააწყდებით გულგრილობის, უპასუხისმგებლობის, უყაირათო მუშაობის ფაქტებს. ამის დასადასტურებლად მან რამდენიმე მაგალითი მოიყვანა. ზამთარში კოლმეურნეებს გასარჩევად ტუნგის ნაყოფი დაურიგეს, მაგრამ ზოგიერთი ბრიგადირის უპასუხისმგებლობის გამო ქარხანას დროულად ვერ ჩააბარეს, რამაც ხარისხის დაქვეითება გამოიწვია, კოლმეურნეობამ 684 მანეთი იზარალა. ეს საკითხი შეისწავლა სახალხო კონტროლის ჯგუფმა და იმოქმედა ცნობილი პრინციპით — დამნაშავემ პასუხი აგოს! ასეც მოხდა, კოლმეურნეობის გამგეობამ მკაცრად იმსჯელა მომხდარი ფაქტის ირგვლივ. ბრიგადირი ი. თურმანიძე გადააყენა დაკავებული თანამდებობიდან. სხვებს ზარალი აანაზღაურებინა.

არც მეცხოველეობის ფერმაში იყო სრული წესრიგი. არ წონიდნენ მიღებულ საკვებს, სჭირდებოდნენ ზეპირ ცნობას. ფერმაში უქმად იდგა ზოგიერთი მოწყობილობა, მუშაკთა შორის იყო კინკლაობა, მიკერძოება. სახალხო კონტროლის ჯგუფმა საფუძვლიანად შეისწავლა ფერმაში არსებული მდგომარეობა და საკითხი ზომების მისაღებად გამგეობაში შეიტანა. განხორციელებულ ღონისძიებას კარგი შედეგი მოჰყვა, ფერმაში წესრიგი დამყარდა.

სოფელში საქმეს რა გამოლევს, საქმე და საზრუნავი არც სახალხო კონტროლის აქტივისტებს აკლიათ. ჩაის კრეფის სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით ბევრი საქმე იყო მოსაგვარებელი. არ ჰყოფნიდათ საკრეფი კალათები, შესაკეთებელი იყო ფარდულები, ასადაგენი—საპლანტაციო გზები, გასაკონტროლებელი — მინერალური სასუქების ხარჯვა. ყველა ეს საკითხი სახალხო კონტროლიორებმა ღრმად შეისწავლეს და განსახილველად წარუდგინეს კოლმეურნეობის გამგეობის სხდომას.

დღეს ზედა ულიანოვკის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები რაიონში ერთ-ერთ მოწინავედ ითვლება. ასეთი შეფასება მოჰყვა თავდადებულ, კარგად ორგანიზებულ მუშაობას. სახალხო კონტროლის მეთაურ ჯგუფში, შვიდ საბრიგადო ჯგუფსა და ორ საგუშაგოში გაერთიანებულია 85 სახალხო კონტროლიორი. მათ მიერ მოწყობილ რეიდებში, შემოწმებებსა და დათვალიერებებში მონაწილეობენ პროფკავშირული და კომკავშირული აქტივისტები, სარევიზიო კომისიის წევრები, სპეციალისტები.

ვეცნობით საქაღალდეებს და თვალწინ იშლება გაწეული მუშაობის შედეგები. მარტო წელს სამოცზე მეტი ღონისძიება განხორციელებიათ. აქტიურობენ სექტორები, ასეთი ხუთია. ჯგუფების, საგუშაგოების, სექტორების, აქტივისტების მოქნილი, საქმის სიყვარულით გაწეული მუშაობა ყველა უბანს ეტყობა.

საქმე მხოლოდ სხვისი მუშაობის შემოწმებას როდი ეხება. კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფებში დანერგილია პირადი მაგალითის პრინციპი. სანამ სხვას მოსთხოვ, მანამ საკუთარი თავისადმიც უნდა იყო მომთხოვნი. მესამე ბრიგადის სახალხო კონტროლიორი ალი ხალვაში სამამულო ომის მონაწილეც არის და პენსიონერიც, მაგრამ კოლმეურნეობაში კვლავაც თავდადებით შრომობს. მეორე ბრიგადის მეჩაიეც, პენსიონერი ხატიჯე კაკაბაძე, ამჟამად ერთ-ერთი მოწინავე მკრეფავია. ხანდაზმულებს ტონს აძლევენ ახალგაზრდა მეჩაიეები რ. უშარიძე, ო. ხალვაში და დ. თურმანიძე, რომლებიც უანგაროდ და თავდადებით შრომობენ, მათ მორალური უფლებაც მოიპოვეს სხვებს მიუთითონ და დაეხმარონ.

სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის, უპასუხისმგებლობის, მფლანგველობის, საქმის გაჭიანურების შემთხვევების გამო მეთაური ჯგუფი ისმენს თანამდებობის პირთა ახსნა-განმარტებებს, ჯგუფის მოთხოვნით ზოგიერთი მათგანი მომხდარი ფაქტის გამო შეტყობინებით გამოდის შრომითი კოლექტივის წინაშე. ასეთი მეთოდი სასურველ მორალურ ზემოქმედებას ახდენს სხვებზე.

— რაზე მუშაობთ ამჟამად? — ვკითხე ი. თევზაძეს.

— რომელი ერთი ჩამოგითვალოთ, — მითხრა მან. კოლმეურნეობამ ვაგონებით ორგანული სასუქი მიიღო. სასუქს დიდი რაოდენობით აკლდა. გასარკვევია, დანაკლისი გამომგზავნის ბრალია თუ რკინიგზის მუშაკთა დაუდევრობისა.

მეთაური ჯგუფი სარევიზიო კომისიასთან ერთად სწავლობს ტრანსპორტის გამართულ მუშაობას, მისი გამოყენების კოეფიციენტს, დაუდგმელ მოწყობილობათა გამოუყენებლობის მიზეზებს და მრავალ სხვა საკითხს.

ჯგუფები აქტიურად მოქმედებენ და მიზანსაც აღწევენ, მათი ავტორიტეტი საკითხების საფუძვლიანმა და პრინციპულმა შესწავლამ, საქმის ბოლომდე მიყვანამ გაზარდა. ზედა ულიანოვკის სახალხო კონტროლის ჯგუფების მუშაობის მეთოდი სხვებისათვის სახელმძღვანელო და მისაბაძი გახდა.

მ. გოგსაძე.

ლითონს უყაირათოდ ხარჯავენ

ამას წინათ სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა იმსჯელა საქართველოს სსრ სახმომარაგების „საქლითონმომარაგებაგასაღების" სამმართველოსა და ქარელის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში გამოვლენილი სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის ფაქტების შესახებ.

გამოირკვა, რომ „საქლითონმომარაგებაგასაღების" სამმართველოში არ სრულდება ზემდგომი ორგანოების დადგენილებანი ლითონის მომჭირნეობით ხარჯვისა და ეფექტიანად გამოყენების შესახებ, ვხვდებით მფლანგველობისა და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის ფაქტებს.

სამმართველოს უფროსის მოადგილე კ. მეტრეველი სხვადასხვა ორგანიზაციას სწორად არ აძლევდა ლითონნარჩენებს. მარტო შარშან მან უკანონოდ გასცა 400 ტონაზე მეტი ნარჩენი. ვინმე უ. ცხოვრებაშვილმა პირადად მას წარუდგინა ქარელის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს წერილი 60 ტონა ლითონნარჩენის გაცემის შესახებ, კ. მეტრეველმა დაარღვია წესი და მისცა ლითონის გაცემის სანქცია.

ტვირთის წონა დოკუმენტებში ნაჩვენებია სხვადასხვაგვარად: სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებში და საგადასახადო მოთხოვნაში — 50 ტონა, ფაქტურაში — 60 ტონა, ხოლო რკინიგზის ქვითარში — 63 ტონა. აღსანიშნავია ისიც, რომ ქარელის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ლითონის წლიური ფონდი მხოლოდ 5,6 ტონას შეადგენს.

შემოწმებით ისიც დადგინდა, რომ ქარელის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში (უფროსი ნ. ნოზაძე) ბოროტმოქმედების ყველა პირობაა შექმნილი. ნ. ნოზაძემ პირადად მისცა უ. ცხოვრებაშვილს საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს შტამპიანი, რეგისტრაციაში გაუტარებელი და შეუვსებელი ბლანკი. ამ უკანასკნელმა იგი შეავსო, უფროსის მაგივრად ხელი მოაწერა და კ. მეტრეველს წარუდგინა. ამის შემდეგ ქარელის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ბრძანებით უ. ცხოვრებაშვილი მატერიალურად პასუხისმგებელ პირად გააფორმეს.

ქარელის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტური რევიზიისას გამოვლინდა სერიოზული დარღვევები. რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს კოლეგიამ განიხილა შემოწმების შედეგები და გეგმის შეუსრულებლობისათვის, სამმართველოს საწარმოო-საფინანსო და სამეურნეო საქმიანობისადმი სუსტი კონტროლისათვის, აგრეთვე თანამშრომელთა ხელფასის დაგვიანებით გაცემისათვის სამმართველოს უფროსს ნ. ნოზაძეს სასტიკი საყვედური გამოუცხადა. თავის მხრივ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა. უკონტროლობისა და მომთხოვნელობის შესუსტებისათვის, რასაც სახელმწიფო და საშემსრულებლო დისციპლინის უხეში დარღვევები მოჰყვა „საქლითონმომარაგებაგასაღების" სამმართველოს უფროსს ა. თავართქილაძეს სასტიკი საყვედური გამოუცხადა. ამასთან, ახლა სამმართველოს უფროსის მოადგილე კ. მეტრეველი და ქარელის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი ნ. ნოზაძე გადაყენებული არიან თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა სახმომარაგებას დაავალა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსთან ერთად გადაწყვიტოს ქარელის რაიონის სამმართველოს მიერ უკანონოდ მიღებული 50 ტონა ლითონის გამოყენების საკითხი.

ვ. ხოდელი,

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მშრომელთა საჩივრებისა და წინადადებების ბიუროს გამგე.

სრულვყოთ სამეურნეო მექანიზმი

მკითხველმა იცის, რომ შარშან მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდი და მასთან ერთად ახალი საგეგმო მაჩვენებელი — ნორმატიული წმინდა პროდუქცია — აპრობაციის წესით დაინერგა რესპუბლიკის 62 სამრეწველო საწარმოსა და გაერთიანებაში. მათი მუშაობის პირველი შედეგები რომ განიხილა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გაეფართოებინა აპრობაციის წესით მომუშავე საწარმოთა წრე. შესაბამისად დამტკიცდა 1981 წელს ახალ სამეურნეო მექანიზმზე საწარმოთა გადაყვანის გრაფიკიც. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების სრულყოფის განყოფილების უფროსის ამხ. ა. გაბისონიას სტატიაში, რომელსაც მკითხველს ვთავაზობთ, გაანალიზებულია აპრობაციის წესით მომუშავე საწარმოთა საქმიანობის პირველი შედეგები და, საერთოდ, რესპუბლიკაში ახალი სამეურნეო მექანიზმის დანერგვის მდგომარეობა.

დღეისათვის ნორმატიული წმინდა პროდუქციის ახალ საგეგმო მაჩვენებელს სამეურნეო პრაქტიკაში რესპუბლიკის 200-ზე მეტი სამრეწველო საწარმო და გაერთიანება იყენებს. მათგან შეიძლია დავასახელოთ საკავშირო რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანებების „სამტრესტის" 40 და „საქჩაის" 26 საწარმო, რესპუბლიკური გაერთიანება „საქკონსერვმრეწვის" 26, დამზადების მინისტროს 19, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს 14, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს 13, მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროთა ათ-ათი, მშენებლობის სამინისტროს 7, სასოფლო მშენებლობის სამინისტროს 5 საწარმო და გაერთიანება, აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების 10 საწარმო და ზოგიერთი სხვა უწყების საწარმოები. ისინი შეადგენენ რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა 23 პროცენტს და მათზე მოდის რესპუბლიკის მთლიანი სამრეწველო პროდუქციის წარმოების თითქმის 43 პროცენტი.

ამრიგად, ნორმატიული წმინდა პროდუქციის, ამ ახალი საგეგმო მაჩვენებლის აპრობაციის წესით გამოყენებაზე საწარმოთა გადაყვანის გეგმა და გრაფიკი მთლიანად შესრულებულია. ამასთანავე, აქვე უნდა ითქვას, რომ ამ პროცესს გარკვეული სიძნელეები ახლდა. ზოგიერთი სამინისტროს და უწყების სისტემაში მძიმედ, რომ იტყვიან, უხალისოდ მოხდა ამის განხორციელება. საჭირო გახდა მრავალგზისი შეხსენება და ზემოქმედების სხვა ფორმების თუ მეთოდების გამოყენება. ამას რომ ვამბობთ, იქნებ სავსებით გასაგები არცკი იყოს, თუ რატომ უნდა ყოფილიყო სიძნელეები, რამეთუ ეს ღონისძიება პირველ რიგში თვით სამინისტროთა ინტერესებს და მოთხოვნებს შეესაბამება.

წარმატებასთან ერთად-ნაკლიც!

ამ კითხვაზე პასუხი რომ გავცეთ, ჯერ უნდა გავარკვიოთ, თუ რატომ ტარდება აპრობაცია და რა მიზანი აქვს მას.

ნორმატიული წმინდა პროდუქციის მაჩვენებლის გამოყენება ის სკოლაა, რომლის გავლის შემდეგ საწარმოებს 1982-1983 წლებში არ უნდა გაუჭირდეთ ამ მაჩვენებელთან პირისპირ დარჩენა.

აქ იმას ვგულისხმობთ, რომ სასაქონლო ან მთლიანად პროდუქციის მაჩვენებელთა ნაცვლად საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შემფასებელი კრიტერიუმი მომავალში ნორმატიული წმინდა პროდუქციის მაჩვენებელი გახდება. ეს კი, როგორც დღემდე განვლილმა პრაქტიკამ გვიჩვენა, ისევე არ არის იოლი, როგორც კარგად, გამართულად მუშაობა.

აქ აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ მომავალი წლიდან რესპუბლიკის 580-მდე, ხოლო 1983 წლიდან ყველა დანარჩენი — 400-ზე მეტი საწარმო და გაერთიანება საბოლოოდ გადავა ამ ახალი ეკონომიკური მაჩვენებლის გამოყენების წესზე.

ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი სათანადოდ ვერ აფასებს ახლებურად მუშაობის ცდის მნიშვნელობას, აყოვნებს ახალი მაჩვენებლის გამოყენებას, ზოგიერთმა ზემდგომმა სამეურნეო ორგანომ უსაფუძვლოდ გააჭიანურა საწარმოების გადაყვანა ახალ სამეურნეო მექანიზმზე. ცხადია, აპრობირება თვითმიზანი არ არის. აპრობაციის შემდეგ იწყება შესწავლის, ანალიზის, განზოგადების, შედეგების განხილვისა და სათანადო დასკვნების გამოტანის ეტაპი. ეს არის სწორედ მისი მიზანი.

ახალი სამეურნეო მექანიზმის პირობებში მუშაობისა და სათანადო დასკვნების გამოტანის აუცილებლობაზე რომ ვამახვილებთ ყურადღებას, ამის საფუძველს გვაძლევს ჩვენი საბაზო საწარმოების მუშაობის პირველი შედეგი. იგი სერიოზული დაფიქრების საბაბს იძლევა, რადგან **ნორმატიული წმინდა პროდუქციის მაჩვენებელი ის სარკეა, რომელიც შეულამაზებლად გვიხასიათებს ჩვენს სამეურნეო საქმიანობას. ეს კი ყველა საწარმოს ხელმძღვანელს დიდი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს.**

სიტყვა პირველ შედეგებზე. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში აპრობაციის წესით მომუშავე საბაზო საწარმოებმა და გაერთიანებებმა სასაქონლო პროდუქციის წარმოების გეგმა 102,4 პროცენტით შეასრულეს, ამ მაჩვენებლის ზრდის ტემპმა კი 103,5 პროცენტი შეადგინა. ნორმატიული წმინდა პროდუქციის მაჩვენებლით იგივე სიდიდეები გამოიხატა შესაბამისად 100,5 და 101 პროცენტით.

წლეულს იანვარ-ივლისში სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა მხოლოდ შვიდმა საწარმომ ვერ შეასრულა, ნორმატიული წმინდა პროდუქციის მაჩვენებლით კი პროდუქციის გამოშვების გეგმა ვერ უზრუნველყო 45 საწარმომ და გაერთიანებამ, ანუ საბაზო საწარმოთა 22 პროცენტმა. მათ შორის არის საკავშირო-რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის" 12 საწარმო და გაერთიანება (40 საბაზო საწარმოდან), „საქკონსერვმრეწვის" 6 (26-დან), მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროთა ხუთ-ხუთი საწარმო (შესაბამისად ათ-ათიდან), ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს 3 (14-დან) და ა. შ. საერთო ანგარიშით კი მიმდინარე წლის 7 თვეში აპრობაციის წესით მომუშავე 203 საწარმომ პროდუქციის გამოშვების გეგმა სასაქონლო პროდუქციის მაჩვენებლით 102,9 პროცენტით, ხოლო ნორმატიული წმინდა პროდუქციის მაჩვენებლით — 101,3 პროცენტით შეასრულა. ამ მაჩვენებელთა მიხედვით ზრდამ შესაბამისად 105,2 და 103,1 პროცენტი შეადგინა. როგორც ვხედავთ, სასაქონლო პროდუქციის მაჩვენებლის მიხედვით გეგმის შესრულებისა და ზრდის ტემპის მონაცემები თვალსაჩინოდ აღემატება ნორმატიული წმინდა პროდუქციის მაჩვენებლის მიხედვით ჩამოყალიბებულ ანალოგიურ მონაცემებს.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ **საბაზო საწარმოების მიერ ნორმატიული წმინდა პროდუქციის მაჩვენებლის გეგმის უფრო დაბალი დონით შესრულება, წარმოების ზრდის ნელი ტემპი და გეგმის ჩამშლელ საწარმოთა დიდი ოდენობა ძირითადად გაპირობებულია პროდუქციის დაგეგმილი ნომენკლატურის შეუსრულებლობით, ასორტიმენტის გეგმის დარღვევით. ამის მაგალითი უამრავია.**

უნდა ითქვას, რომ იქ, სადაც ირღვევა პროდუქციის გამოშვების წინასწარ განსაზღვრული ნომენკლატურა, როგორც წესი, ვერ სრულდება ნორმატიული წმინდა პროდუქციის მაჩვენებლით შეფასებული პროდუქციის წარმოების გეგმაც. მაშასადამე, ვერ სრულდება ამავე მაჩვენებლით განსაზღვრული შრომის ნაყოფიერების, ფონდუკუგებისა და სხვა ხარისხობრივი მაჩვენებლებიც. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ **ნორმატიული, წმინდა პროდუქციის მაჩვენებელი ერთობ მგრძნობიარეა პროდუქციის ნომენკლატურის გეგმის დარღვევის მიმართ და დაუყოვნებლივ, ზუსტად ააშკარავებს იმ საწარმოების პრაქტიკას, რომლებიც პროდუქციის ცალკეული ასორტიმენტის გეგმის დარღვევის შევსებას აღწევენ სხვა, მასალატევადი და ძვირადღირებული ნაკეთობის ზეგეგმითი გამოშვებით.** ასეთი საწარმოები წარმატებით ასრულებენ სასაქონლო და მთლიანი პროდუქციის მაჩვენებელთა გეგმებს, მაგრამ ჩვეულებრივ, შეუსრულებელი რჩებათ ნორმატიული წმინდა პროდუქციის მაჩვენებლით განსაზღვრული გეგმა. შეგვიძლია წინასწარ და დარწმუნებით ვთქვათ, რომ თითქმის ყველა ის საწარმო, რომელიც ამჟამად ვერ ასრულებს პროდუქციის მიწოდების ვალდებულებათა მიხედვით პროდუქციის რეალიზაციის გეგმას, ვერ შეასრულებს ასევე ნორმატიული წმინდა პროდუქციის მაჩვენებლით დადგენილ გეგმასაც. მიმდინარე წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, ამ მხრივ მეტად არასახარბიელო სურათი გვქონდა. სახელდობრ, იმ 744 სამრეწველო საწარმოდან, რომელთა გეგმის შესრულება აღირიცხება მიწოდების ვალდებულებათა გეგმის მაჩვენებლით, 211 საწარმომ ვერ შეასრულა ეს მაჩვენებელი, პროდუქციის ასორტიმენტული გეგმის დარღვევის გამო მათ მყიდველებს ვერ მიაწოდეს ვალდებულებით გათვალისწინებული 1505 მილიონი მანეთის მზა ნაწარმი. საკმაოდ ბევრი ასეთი საწარმო იყო რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის, ხე-ტყის მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროების სისტემაში. საერთო ანგარიშით კი, თუ ზემოხსენებულმა 744 საწარმომ პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმა 101,9 პროცენტით გაანაღდა, ხელშეკრულებებისა და მიწოდების ვალდებულებათა გათვალისწინებით ეს გეგმა მხოლოდ 96 პროცენტით შესრულდა. წლეულს რომ მათი საქმიანობის ძირითადი შემფასებელი კრიტერიუმი (არა აპრობაციის წესით, არამედ ნამდვილად) ნორმატიული წმინდა პროდუქციის მაჩვენებელი ყოფილიყო, ისინი ამ მაჩვენებლის მიხედვით გეგმას ვერ შეასრულებდნენ. ყოველივე ეს მეტად დამაფიქრებელია.

როდესაც საწარმოთა ახლებურად მუშაობის პრაქტიკას ვეხებით, წინა პლანზე დგება საკითხი, თუ ვინ როგორ მოემზადა ახალ პირობებში წარმატებული საქმიანობისათვის. აქ ვლინდება, თუ როგორ მიუდგნენ ამ საკითხს. შრომითი კოლექტივები, მათი ხელმძღვანელები, ეკონომიკური სამსახური, ზემდგომი სამეურნეო ორგანოები და სხვ. უთუოდ დადებითად უნდა შეფასდეს თბილისის, სოხუმის, ბათუმის და ქუთაისის მრავალი საბაზო საწარმოს გამოცდილება. საწარმოო გაერთიანება „ბორჯომი", თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკა, ჩაის საწონი ფაბრიკა და საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკა „კომკავშირელი", ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხანა, სამკერვალო გაერთიანება, ქარხანა „სოხუმხელსაწყო" და მრავალი სხვა საწარმო ამჟამად წარმატებით ცდის ახალ საგეგმო მაჩვენებელს და მთლიანად იყენებს იმ ეკონომიკურ ბერკეტებს, რომლებიც გათვალისწინებულია ახალი სამეურნეო მექანიზმით.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქარხანა „სოხუმხელსაწყოს" პრაქტიკა. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წინადადებით, სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრომ მიმდინარე წლის დამდეგიდან ეს საწარმო ახალი საგეგმო მაჩვენებლისა და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების წესზე გადაიყვანა. ქარხანა კარგად მოემზადა ახლებურად მუშაობისათვის. ამჟამად აქ ყველა ძირითადი საგეგმო მაჩვენებელი ნორმატიული წმინდა პროდუქციის მიხედვით ფასდება. ყველა საამქრო და უბანი გადაყვანილია ბრიგადულ ფორმაზე, დანერგილია შიდა სამეურნეო ანგარიში, შემუშავებულია სოციალური განვითარების გეგმა. სისტემატურად მოწმდება მისი შესრულება, იყენებენ ქვეყნის მოწინავე საწარმოებში აპრობირებული წარმოების მართვის უახლეს სქემებსა და ფორმებს. ქარხანა „სოხუმხელსაწყო" რეგიონის საწარმოთათვის ეტალონურ-მეთოდური ხასიათის მოწინავე ცენტრად გადაიქცა.

აქვე უნდა ითქვას, რომ უმეტეს საბაზო საწარმოებში ახალი სამეურნეო მექანიზმისა და, მათ შორის წარმოებული წმინდა პროდუქციის მაჩვენებლის დანერგვის პრაქტიკა ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა, ზოგან კი ყოვლად უნაყოფოა. მრავალ საწარმოში, დაუმუშავეს რა წმინდა პროდუქციის ნორმატივები და მისცეს გამოსაყენებლად, ამით ამოწურეს მოსამზადებელი სამუშაოთა კომპლექსი. საწარმოთა შრომითი კოლექტივებს ზოგჯერ ჯეროვანი წარმოდგენა არა აქვთ სიახლეებზე. სამინისტროები საკმარისად არ ზრუნავენ დაქვემდებარებულ საწარმოებში ეკონომიკური ცოდნის გაზრდისა და ახალი სამეურნეო მექანიზმის დანერგვისათვის. ასეთი ვითარებაა, მაგალითად, მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის, სატყეო მეურნეობისა და საავტომობილო გზების სამინისტროების, „საქსოფლტექნიკისა" და ზოგიერთი სხვა უწყების საწარმოებში. მიმდინარე აპრობირების ნაკლია ისიც, რომ სამინისტროები და უწყებები, საწარმოები და გაერთიანებები ხშირად არ აანალიზებენ, არ განიხილავენ, არ განაზოგადებენ ახლებურად მუშაობის შედეგებს, არ სახავენ მდგომარეობის გამოსწორების გზებს. ეს ყოვლად გაუმართლებელი პრაქტიკაა, და ხელს უშლის წარმატებულ სამეურნეო საქმიანობას.

საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ ახალი სამეურნეო მექანიზმის დანერგვისათვის მოსამზადებელ სამუშაოთა რესპუბლიკურმა დათვალიერებამ, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, უნდა გამოავლინოს როგორც დადებითი ტენდენციები მთელ ამ ეკონომიკურ საქმიანობაში, ასევე, და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, უარყოფითი მხარეები, რათა დროულად შევძლოთ რეაგირება, საქმის გამოსწორება და საჭირო ღონისძიებათა დასახვა. ამჟამად ეს მუშაობა რესპუბლიკის ეკონომიკური სამსახურის მუშაკთა პირველხარისხოვანი საზრუნავი უნდა გახდეს.

ა. გაბისონია,
საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით:

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ზურაბ გრიგოლის ძე **შოშიტაიშვილი** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით პარტიული და სამეურნეო ორგანოებში, სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ამხ. რამაზ დავითის ძე **ფანცხავა** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რკინიგზის ტრანსპორტზე ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. ლევან ივანეს ძე **მეგრელიშვილი** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ფაქტები □ მოვლენები □ გამოხმაურება □ კომენტარი

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

19 აგვისტო

სოციალიზმის ქვეყნებში

უნგრეთი

მშენებელთა ვახტი

ბუდაპეშტი. ახალი თანამედროვე საამქროები დუნაის მეტალურგიულ კომბინატსა და მიშკოლცის ვ. ი. ლენინის სახელობის კომბინატში საფეიქრო ფაბრიკები დებრეცენსა და სეგედში — ეს საწარმოები უნგრეთის ეკონომიკურ რუკაზე მხოლოდ უკანასკნელ წლებში გაჩნდა.

„ვაშენოთ სწრაფად, უმცირესი დანახარჯებით" — ასეთი დევიზით დგანან შრომით ვახტზე უნგრელი მშრომელები. მათი გარჯის მეოხებით თითქმის ყოველდღიურად იცვლება პაკშის — ქვეყანაში პირველი ატომური ელექტროსადგურის სახე, რომელიც შენდება საბჭოთა კავშირ-უნგრეთის თანამშრომლობის ფარგლებში. იზრდება ბუდაპეშტის სპორტის სასახლის კორპუსები, თანამედროვე უბნები უნგრეთის დედაქალაქში, რესპუბლიკის ახალ ქალაქებში — აიკაში, საზხალომ-ბატსა და ტატაბანიაში.

ბულგარეთი

იზრდება სიმძლავრეები

სოფია. მიმდინარე წელს ათი ათას ტონა ნაგლინს გამოუშვებს შუმენის ალუმინის დამმუშავებელი კომბინატის კოლექტივი. საწარმოს პროდუქციის ასორტიმენტი დღეს მოიცავს 65-ზე მეტი დასახელების პროდუქციას: რთულ პროფილებს, ცილიტას, მილებს, ფურცლოვან ნაგლინს. უახლოეს ხანს მისი სიმძლავრეები მნიშვნელოვნად გაიზრდება — მწყობრში ჩადგება კიდევ სამი ნაკადური ხაზი.

შუმენის კომბინატი სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის პირმშოა. იგი დააპროექტეს ბულგარელმა და საბჭოთა სპეციალისტებმა, მოწყობილობის ნაწილი საბჭოთა კავშირიდან არის გაგზავნილი.

ლაოსი

კოოპერაციის სიკეთე

ვიენტიანი. ლაოსის მთავარი ველის — ჩამპასაკის პროვინციის მებრინჯე გლეხებმა განიხილეს კოოპერაციული მოძრაობის აქტუალური საკითხები, რომელიც დასახეს ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო-რევოლუციურმა პარტიამ და მთავრობამ ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების პირველი ხუთწლედისათვის (1981-1985 წლები).

თათბირზე აღინიშნა, რომ გლეხების კოოპერირება, აგრეთვე სახელმწიფო მეურნეობებისა და სპეციალიზებული მეურნეობების შექმნა ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულებაა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის მოძრაობაში.

მშვიდობას საფრთხე ემუქრება

განიარაღების კომიტეტში

ჟენევა. განიარაღების კომიტეტის სხდომებზე ცენტრალური ადგილი უკავია ახლა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას სრული მასშტაბით დაიწყოს ნეიტრონული იარაღის წარმოება და დაგროვება. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, მონღოლეთის, კუბის, რუმინეთის წარმომადგენლებმა გამოხატეს ამ საშიში ნაბიჯის წინააღმდეგ მსოფლიო საზოგადოებრიობის ფართოდ გაშლილი საპროტესტო კამპანია და მკაცრად დაგმეს იგი. ვაშინგტონის ადმინისტრაციის ეს გადაწყვეტილება, მათი აზრით, ლახვარს სცემს საერთაშორისო უშიშროებასა და მთლიანად განიარაღების შესახებ მოლაპარაკების პროცესს.

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის გადაწყვეტილების გამო სერიოზული შეშფოთება გამოთქვეს ინდოეთის, მექსიკის, ზაირისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა.

კომიტეტის პლენარულ სხდომაზე გამოვიდა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაური ვ. ი. ისრაელიანი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნეიტრონული იარაღის სრული მასშტაბით წარმოების დაწყების შესახებ გადაწყვეტილებით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გადადგა ახალი ნაბიჯი, რომელსაც მოსდევს გამალებული შეიარაღების ზრდა.

ამით ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ცდილობენ მიიღონ იარაღი, რომლის მეშვეობით პრაქტიკულად შეძლებენ განახორციელონ „შეზღუდული" ბირთვული ომის დოქტრინა. ნეიტრონული იარაღით შეიარაღება არსებითად ამცირებს ბირთვულ ზღვარს, ზრდის საყოველთაო ბირთვული ომის მასშტაბამდე შეიარაღებული კონფლიქტის ესკალაციის ალბათობას.

შემდეგ სსრ კავშირის წარმომადგენელმა ამხილა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ცდები თავისი გადაწყვეტილების საშიშროება შეამციროს იმის მტკიცებით, რომ თითქოს საქმე ეხებოდეს მხოლოდ ნეიტრონული იარაღის წარმოებას და არა მის განლაგებას კონკრეტულ რაიონებში. ვერავის ვერ მოატყუებენ იმათ, თქვა მან, რომ ნეიტრონული იარაღის წარმოება მხოლოდ თავდაპირველი ეტაპია, რომელსაც მოჰყვება ზეგავლენა მოკავშირეებზე, რათა ისინი დაიყოლიონ საკუთარ ტერიტორიებზე ნეიტრონული იარაღის განლაგებაზე.

ნეიტრონული იარაღის წარმოება არსებითად გაართულებს მოლაპარაკებას, რომელიც განიარაღების დარგში წარმოებს. იგი ვერ იქნება ევროპაში ბირთვული იარაღის შესახებ მოლაპარაკების შესაფერისი უვერტიურა. ნეიტრონული იარაღის წარმოება პირობებში, როცა ევროპა ისედაც სავსეა მასობრივი მოსპობის იარაღით, სინამდვილეში ამცირებს ევროპის უშიშროებას.

რაკი დარწმუნდა, რომ მთელი მსოფლიო გმობს ამერიკის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ განიარაღების კომიტეტში უხეშად სცადა განემარტა ამ გადაწყვეტილების მოტივები. იგი ამტკიცებდა, რომ ნეიტრონული იარაღი „თავისი ბუნებით თავდაცვითი იარაღია". მაგრამ ვერავის ვერ მოატყუებს ამერიკის წარმომადგენლის ცდები სსრ კავშირსა და მის მოკავშირეებს დააკისრონ პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ ამერიკის მმართველი წრეები ზრდიან გამალებულ შეიარაღებას.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია კომიტეტში პრაქტიკულად იზოლაციაში აღმოჩნდა. ვაშინგტონის მოკავშირეთაგან ვერავინ ვერ გაბედა მხარი დაეჭირა მისთვის.

შექმნილ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კომიტეტში სოციალისტური ქვეყნების დელეგაციათა მიერ შეტანილ წინადადებას ბირთვული ნეიტრონული იარაღის წარმოების, დაგროვების, განლაგებისა და გამოყენების აკრძალვის შესახებ საერთაშორისო კონვენციის შემუშავების საკითხის განხილვის დაუყოვნებლივ დაწყების თაობაზე. ამ მიზნით სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლები წინადადებას იძლევიან სასწრაფოდ შეიქმნას კომიტეტის სამუშაო ჯგუფი. არის იმის საფუძველიც, რომ დაიწყოს მოლაპარაკება ასეთ სამუშაო ჯგუფში.

დელეგაციათა უმრავლესობის მნიშვნელოვანი ინტერესი გამოიწვია სოციალისტური ქვეყნების წინადადებამ.

სტატია პოლონურ გაზეთში

ვარშავა. გაზეთმა „ჟოლნეჟ ვოლნოსტიმ" გამოაქვეყნა სტატია „პოლონეთის ინტერესები და ვაშინგტონის პოლიტიკა", რომელშიც მხილებულია ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო საქმეებში. გაზეთი წერს, რომ პოლონეთისათვის მთავარია ქვეყანაში შექმნილი სოციალური კრიზისის პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევა. ეს მოითხოვს გადამწყვეტ მოქმედებას ანარქიის, ქაოსის, საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრების დეზორგანიზაციის გამოვლინების აღსაკვეთად, რომლებსაც იწვევენ და აღრმავებენ პროფკავშირული გაერთიანების „სოლიდარობის" რგოლებში მოკალათებული გარკვეული ელემენტები და დაჯგუფებანი. მათი მთავარი წარმომადგენლები, წერს გაზეთი, ანტისოციალისტური ორგანიზაცია კოს-კორი, აგრეთვე სხვა დივერსიული დაჯგუფებები, რომლებიც პოლონეთისა და სოციალიზმისადმი მტრული იმპერიალისტური ცენტრების გარკვეულ ამოცანებს ასრულებენ.

საგულისხმოა ისიც, განაგრძობს გაზეთი, რომ ისინი ეწევიან ძირგამომთხრელ საქმიანობას, რათა ჩაშალონ ღრმა კრიზისიდან ქვეყნის თავდაღწევის ღონისძიებები და მიმართავენ ყოვლად უმაქნის მასობრივ პროტესტებს. ეს დაჯგუფებანი ფართოდ იყენებენ დაძაბულობის გამძაფრების ახალ მეთოდებს. კერძოდ, ეგრეთ წოდებულ „შიმშილის მარშებს", დემონსტრაციებს საქალაქო ტრანსპორტის მონაწილეობით. ეს ანტისახელმწიფოებრივი დაჯგუფებანი მოსავლის აღების დეზორგანიზაციასაც კი ცდილობდნენ.

„სოლიდარობაში" მოკალათებული ანტისოციალისტური ელემენტები და დაჯგუფებანი, აღნიშნულია გაზეთში, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აყენებენ უსაფუძვლო და შეურაცხმყოფელ ბრალდებებს. ასეთ მოქმედებას აშკარად პროვოკაციული აქტები მოსდევს.

პოლონეთის ამბების განვითარებისადმი, წერს „ჟოლნეჟ ვოლნოსტი", ინტერესს იჩენენ არა მარტო ჩვენი მეზობლები და მეგობრები, არამედ აგრეთვე სოციალისტური წყობილების საზღვარგარეთელი მოწინააღმდეგენიც. ამ სფეროში სულ უფრო მეტ გაკვირვებასა და ამასთანავე პროტესტს იწვევს ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედება, რომელიც უშუალოდ ერევა სუვერენული რესპუბლიკის საშინაო საქმეებსა და მის სამოკავშირეო ურთიერთობაში. ამგვარი მოქმედება უნდა მივიჩნიოთ აქციებად, რომლებსაც ამერიკისა და ნატოს ოფიციალური ორგანოები აწყობენ ყველაზე მაღალ დონეზე. თავიანთ განცხადებებითა და მოქმედებით ისინი სულ უფრო უტიფრად ერევიან პოლონეთის საშინაო საქმეებში, აღვივებენ ვნებებს, აღრმავებენ სიძნელეებს და სურთ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა დამახინჯებულად წარმოსახონ საერთაშორისო ასპარეზზე. ამის მაგალითია ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და ამერიკის პროფგაერთიანება ამერიკის შრომის ფედერაცია — საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ხელმძღვანელობა, რომლებმაც „პოლონელი მუშების დახმარების" სპეციალური ფონდი შექმნეს იმ მიზნით, რომ პოლონეთში განავითარონ იმპერიალიზმის ინტერესების შესაბამისი ტენდენციები, მაგრამ არც ერთ ჭკუათმყოფელ პოლონელს არ მიუმართავს ოკეანისგაღმელი ბატონებისათვის ასეთი მოწყალების მისაღებად. სულ უფრო ძლიერდება სხვა ძირგამომთხრელი ცენტრების აქტიურობაც, რომლებიც პოლონეთის მიმართ აშკარა თუ მალულ პოლიტიკას ახორციელებენ. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში უკვე კარგა ხანია მოქმედებს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საქმეთა სპეციალური ჯგუფი. ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს პოლიტიკურ მოღვაწეთა მითითებით ამ ჯგუფმა შეიმუშავა სხვადასხვა ვარიანტი, რათა გაეღვივებინა დაძაბულობა ქვეყანაში. მაგრამ ამერიკის ჩარევის პოლიტიკის კულმინაცია იყო ეგრეთ წოდებული პოლონური რეზოლუცია, რომელიც ამა წლის ივლისში მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ.

ამერიკის შეერთებული შტატების ასეთი მოქმედება, აღნიშნავს გაზეთი, მიმართულია პოლონელი ხალხის ჭეშმარიტი ინტერესების წინააღმდეგ, ძირს უთხრის მშვიდობას და საერთაშორისო დაძაბულობას. ამერიკის იმპერიალიზმს იმედი აქვს, რომ მიაღწევს პოლონეთის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის დესტაბილიზაციას და ამით დაარღვევს აღმოსავლეთ-დასავლეთის ძალების შედარებით წონასწორობას.

მთელი ეს მოქმედება და გეგმები მოგვაგონებს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის „ცივი ომის" დროინდელ ანალოგიურ ღონისძიებებს. შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, დასძენს გაზეთი, რომ ოკეანისგაღმელ წამყვან პოლიტიკოსთა უმრავლესობაც, რომლებსაც ამერიკის იმპერიალიზმის გლობალური გეგმების ხორცშესხმა სწადიათ, შესაძლებლად მიაჩნიათ სათამაშოდ გაიხადონ მსოფლიოს ხალხების, მათ შორის პოლონელი ერის ინტერესები და ბედი.

ფოტოობიექტივი ამხილებს

● **აშშ**

ამერიკული დემოკრატია — ეს არის მმართველი კლასის ერთი მუჭა წარმომადგენლების ძალაუფლება და პოლიციური ხელკეტები, დილეგები და იმათი დევნა-დაპატიმრება, ვინც მშვიდობისა და სამართლიანობისათვის, მოქალაქეობრივი უფლებებისათვის იბრძვის.

სამისოდ ქვეყანაში შექმნილია უზარმაზარი სადამსჯელო არმია, რომლის შენახვა გადასახადის გადამხდელებს ყოველწლიურად 24 მილიარდი დოლარი უჯდებათ.

სურათზე: ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციის მონაწილის დაპატიმრება ვაშინგტონში.

საქდესის ფოტო.

● **ესპანეთი**

საშიში ნაბიჯი

მადრიდი. ესპანეთის სოციალისტურ მუშათა პარტიას კვლავ მიაჩნია, რომ ნატოში ესპანეთის შესვლა შელახავს არა მარტო ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, არამედ მთლიანად საერთაშორისო ვითარებასაც. ეს მადრიდის გაზეთ „ობა დელ ლუნესისათვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტიის აღმასკომის წევრმა ქ. გარსია — ბლუაზმა.

ასეთი ნაბიჯი, რომელიც დაარღვევს მსოფლიოში შექმნილ სტრატეგიულ წონასწორობას, განსაკუთრებით საშიშია ახლა, როცა ამერიკის ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება ნეიტრონული იარაღის სრული მასშტაბით წარმოების შესახებ. ამით თეთრმა სახლმა ცხადყო, რომ სავსებით უგულებელყოფს ევროპელთა ინტერესებს.

მან მკაცრად გააკრიტიკა ესპანეთის მთავრობის განზრახვა შეიტანოს ეროვნული რეფერენდუმის განუხილველად ნატოში ქვეყნის შესვლის საკითხი და იგი პარლამენტში ჩვეულებრივი კენჭის ყრით გადაწყვიტოს.

ამას თვითონ აღიარებენ

„კორპორაციების კაცი" პრეზიდენტის სავარძელში

ნიუ-იორკი. როცა რ. რეიგანმა თეთრ სახლში პრეზიდენტის სავარძელში მოიკალათა, ამერიკის პრესა წერდა, ახალი პრეზიდენტი „კორპორაციების კაცია, რომელიც თავის საქმიანობაში მათი ინტერესებით იხელმძღვანელებს". ახლა, თითქმის შვიდი თვის შემდეგ ასეთი შეფასების მართლზომიერება მთლიანად დადასტურდა.

„ადმინისტრაციის პირველივე ნაბიჯები აშკარად ცხადყოფს, თუ ვის ემსახურება და ვის ინტერესებს იცავს იგი", — აღნიშნავს გაზეთი „ბოსტონ გლობი". ღონისძიებანი, ქრონიკული დაქვეითებითა და ინფლაციით შეპყრობილი ეროვნული ეკონომიკის „გამოსაცოცხლებლად" დიდის ამბით რომ გამოაცხადეს, სინამდვილეში ამერიკის მშრომელი ფენების წინააღმდეგ არის მიმართული, ისინი ითვალისწინებენ უწინარეს ყოვლისა, მწვავე სოციალური საჭიროებებისათვის ფედერალურ ასიგნებათა მკვეთრ შემცირებას.

მაგალითად, 1982 საფინანსო წელს 1,4 მილიარდი დოლარით შეიკვეცება უმუშევართა დახმარების ისედაც კუდმოკვეცილი პროგრამები. არადა, ამჟამად უმუშევართა რიცხვი შეერთებული შტატების მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის 7 პროცენტს აღემატება. კიდევ უფრო მეტად დაეხშობათ სამედიცინო მომსახურების გზა ხელმოკლე ამერიკელთა ოჯახებს, ვინაიდან ამ კატეგორიის მოსახლეობისათვის გათვალისწინებული პროგრამა „მედიკეიდი" გაისად 1,6 მილიარდი დოლარით შემცირდება. შეიკვეცება აგრეთვე ახალგაზრდობას შორის უმუშევრობასთან ბრძოლის, საბინაო მშენებლობის პროგრამების ბიუჯეტი. არსებითად მხოლოდ მდიდართა პრივილეგია გახდება უმაღლესი განათლება, ვინაიდან სტუდენტთა ფედერალური სესხის პროგრამების უმრავლესობა ასევე მსხვერპლად შეეწირება „რეიგანომიკას" — ასე უწოდებენ აქ პრეზიდენტის ეკონომიკურ პროგრამას.

დიდი ბიზნესი რაღას იქმს მასაც ხომ არ მოუწევს „ეკონომიის" რეჟიმზე გადასვლა? როგორ გეკადრებათ- როგორც გაზეთი „ნიუ იორკ ტაიმსი" აღნიშნავს, „პრეზიდენტის ეკონომიკურ პროგრამაში მნიშვნელოვანი უპირატესი შეღავათები და სარგებელი მოაქვს მსხვილი კონცერნებისა და კომპანიებისათვის". კერძოდ, მარტო გადასახადის გამოცხადებული შემცირების შედეგად კორპორაციები მომდევნო ექვსი წლის მანძილზე დამატებითი მოგების სახით მიიღებენ სულ ცოტა 50 მილიარდ დოლარს, დასძენს გაზეთი.

კიდევ უფრო კონკრეტულად და ზუსტად დაახასიათა „რეიგანომიკის" არსი თვალსაჩინო ამერიკელმა ეკონომისტმა ჯ. გელბრეიტმა. მან განაცხადა, რომ „მილიონობით რიგითი ამერიკელისათვის საარსებო მნიშვნელობის მქონე სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების შემდგომი შემცირების ხარჯზე კმაყოფილდება მონოპოლიების და უწინარეს ყოვლისა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის გიგანტების დაუოკებელი მადა.

სამხედრო კოოპერაციები გელბრეიტმა შემთხვევით როდი დაასახელა. თეთრი სახლის „ახალ" ეკონომიკურ კურსს თან სდევს უპრეცედენტო მასშტაბის სამხედრო ისტერია და გამალებული შეიარაღების ტემპის გაძლიერება, რომელზეც ხელს ითბობენ „სიკვდილის ფაბრიკანტები". 1982 საფინანსო წლის ასტრონომიული სიდიდის სამხედრო ბიუჯეტი, რომელიც 226,3 მილიარდ დოლარს შთანთქავს, მათ მომგებიან შეკვეთებს გაუნაღდებს.

ტელეტაიპის ლენტიდან

მოკლედ

● **ჰავანა**

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ახალი უხეში პროვოკაცია ჩაიდინა კუბის წინააღმდეგ. 17 აგვისტოს დილით ვერტმფრენმზიდ „გუამის" ბორტიდან საზღვაო ქვეით ჯარისკაცთა საჰაერო დესანტი გადასხეს ამერიკის გუანტანამოს სამხედრო-საზღვაო ბაზაში. როგორც ცნობილია, გუანტანამო ნაწილია კუბის სუვერენული ტერიტორიისა, რომელიც უკანონოდ აქვს მიტაცებული ამერიკის შეერთებულ შტატებს ამ საუკუნის დამდეგიდან.

ამ ოპერაციით დაიწყო მეორე ეტაპი იმ უდიდესი სამხედრო-საზღვაო მანევრების კარიბის ფაზისა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები და მისი ნატოელი მოკავშირეები აწყობენ „ოუშნ ვენჩრ-81"-ის კოდური სახელწოდებით.

● **სან-ფრანცისკო**

რეიგანის ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება განუახლოს „ფ-16" ამერიკული ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენების მოწოდება ისრაელს. ეს განაცხადა ლოს-ანჯელესში გამოსვლისას სახელმწიფო მდივანმა ა. ჰეიგმა მას შემდეგ, რაც აქ მუშაობა დაამთავრა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომამ, რომელშიც რეიგანი მონაწილეობდა.

● **ბეირუთი**

ლიბანის სამხრეთში კვლავინდებურად უაღრესად საშიში ვითარებაა. ისრაელის არმიის სარდლობა და სამხრეთლიბანელი სეპარატისტები ემზადებიან ფართო მასშტაბის აგრესიის გასახორციელებლად ლიბანის წინააღმდეგ. ისრაელი თავს უყრის ჯარებსა და ტექნიკას რაიონში, რომელსაც კონტროლს უწევენ სამხრეთლიბანელი სეპარატისტები.

● **ლონდონი**

მკაცრად გააკრიტიკა ინგლისის ქალაქებში, მათ შორის ლივერპულში ინგლისის პოლიციის აქციები პარლამენტის დეპუტატმა ლეიბორისტული პარტიისაგან ა. რობერტსმა. ქალაქ ბუტლში გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ სრულიად უსაფუძვლოა „წესრიგის დამცველთა" მოქმედება, კერძოდ სისასტიკე და ძალადობა, რომელიც გამოიჩინეს სოციალურ-ეკონომიკური უსამართლობის, უმუშევრობის, რასიზმის, თვითნებობის წინააღმდეგ მებრძოლი ახალგაზრდობის ამასწინანდელი მასობრივი გამოსვლების ჩახშობის დროს.

დამთავრდა ჯ. ჰინკლის გამოკვლევა

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტრო იუწყება, რომ დამთავრდა ჯონ ჰინკლის ფსიქიატრიული გამოკვლევა. ჰინკლი 30 მარტს თავს დაესხა პრეზიდენტ რეიგანს, რის შედეგადაც იგი და მისი რამდენიმე მცველი დაიჭრა.

გამოკვლევის მონაცემები გადაეცა ვაშინგტონის საოლქო ფედერალურ სასამართლოს. მთავარი მოსამართლის ჯ. ბრაიანტის გადაწყვეტილებით სამედიცინო მოხსენება გასაიდუმლოებულია.

ამჟამად ჰინკლის საქმეს იხილავს დიდი ფედერალური ჟიური, რომელიც მიიღებს ფორმალურ გადაწყვეტილებას ბოროტმოქმედის სასამართლო პასუხისგებაში მიცემის თაობაზე. ამ გადაწყვეტილებას ახლო მომავალში მოელიან.

სად რა მოხდა

დააპატიმრეს ტერორისტები

თეირანი. ირანის დედაქალაქის ცენტრში გამართული შეიარაღებული შეტაკების დროს შეიპყრეს სამი ტერორისტი. მათ აყარეს იარაღი — ავტომატები, პისტოლეტები და ხელყუმბარები. თავს დაესხნენ აგრეთვე თეირანის რადიოსა და ტელევიზიის ავტომანქანას. მოკლეს მძღოლი და დაჭრეს ერთი „ისლამური რევოლუციის გუშაგი".

დაძაბული ვითარებაა ქვეყნის სხვა რაიონებშიც.

ქართული ლიტერატურის ბანოვანი

ეკატერინე გაბაშვილის დაბადების 130-ე წლისთავის გამო

ეკატერინე გაბაშვილის სამწერლო ასპარეზზე გამოჩენას პირველი ილია ჭავჭავაძე გამოეხმაურა, მან ყურადღება მიაქცია მწერალი ქალის კალმის სიმძაფრეს. როცა ილიამ რომანი „დიდ ხევში" წაიკითხა, ახალგაზრდა ქალი ვიქტორ ჰიუგოს შეადარა და მისი მხატვრული ნიჭით აღფრთოვანებულმა მეუღლეს, ოლღა გურამიშვილს სთხოვა: — გახსოვდეს, როცა ჟურნალში ან გაზეთში ე. გაბაშვილის წერილი ან მოთხრობა შეგხვდეს, მაგიდაზე გადამიშალე, რომ მხედველობიდან არ გამომრჩესო.

ეკატერინე ილიას ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეებზე გაიზარდა. მწერალი მისთვის „იდეალი" და „სალოცავი ხატი" იყო. ეკატერინე ყოველთვის მხურვალედ მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში და ილიას რჩევა-დარიგებებსაც ითვალისწინებდა.

როცა ქართველმა ქალებმა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის პატარა ორგანიზაციის დაარსება გადაწყვიტეს, თანხის გამოსანახავად და ორგანიზაციის თავმჯდომარედ ე. გაბაშვილი, ხოლო მდივნად ოლღა გურამიშვილი დაასახელეს. აქაც ჯერ ილიას დაეკითხნენ და შემდგომ მისი რჩევით მოიქცნენ.

ე. გაბაშვილმა თავისი მოღვაწეობა ქალთა უფლებების დაცვით დაიწყო. ეს დიდი შემართების ქალი და ფართო დიაპაზონის მწერალი, მამაკაცების მხარდამხარ მონაწილეობდა საქვეყნო საქმიანობაში. არ ყოფილა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომ იგი კალმითა და საქმით არ გამოხმაურებოდა. შემთხვევითი არ იყო ისიც, რომ მას ქართველ ჟორჟ სანდს ეძახდნენ.

როცა ი. ჭავჭავაძის და ი. გოგებაშვილის თაოსნობით ქალთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დაარსდა, ე. გაბაშვილი პირველივე გამგეობის წევრად აირჩიეს. გაბაშვილის კალმა ასევე აქტიური მონაწილეობა მიიღო შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დადგენის კომისიის საინტერესო მუშაობაში.

ხშირად გამოდიოდა ე. გაბაშვილი პრესაში თავისი საქმიანი წერილებითა და მოწოდებით. იგი წერდა აჭარელ ქალთა უმწეო მდგომარეობაზე, მოითხოვდა აჭარაში კვალიფიციური მასწავლებლების გაგზავნას, სკოლების გახსნას, სახელმძღვანელოებითა და სათანადო სასწავლო ნივთებით უზრუნველყოფას.

დიდი იყო ე. გაბაშვილის მხატვრული სიტყვის ძალა. ნიჭიერი ბელეტრისტი შესანიშნავად გრძნობდა თანამედროვეობას, წერდა იმაზე, რასაც ირგვლივ ხედავდა, რაც მის საყვარელ მაშვრალ ხალხს აწუხებდა და რის განკურნებასაც თავისი კალმის ზემოქმედებით ფიქრობდა.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა თავის დროზე ეკატერინეს შესანიშნავმა მოთხრობამ „მშიერაძეების ოჯახმა", რომელშიც აღწერილია ღარიბ-ღატაკი ხალხის უნუგეშო ყოფა. როცა მახათას მთაზე, მთავრობის უნებართვოდ დასახლებული ლტოლვილი გლეხობის აყრა ბრძანა თბილისის გუბერნატორმა, დასარბევად წამოსული რაზმი ერთმა მოქალაქემ ჟურნალ „ჯეჯილში" დაბეჭდილი ე. გაბაშვილის ამ მოთხრობით შეაჩერა.

— „ნუთუ, ბატონებო, თქვენ ვინმეს ძალა შეგწევთ, ბოგანო სადიხს, რომელიც ნაძალადევ მოქალაქედ იქცა, ხელს შეახებთ და გაჩაღებულ კერას ჩაუქრობთ?!".

...ამბობენ სულგანაბული, გულაჩუყებული რაზმი უსიტყვოდ დაიშალა... გლეხობისათვის ხელი არ უხლიათო...

— სწავლა დიდი სამკაულია კაცისთვისო, — წერდა ეკატერინე თავის ესკიზში, რომელიც 1870 წლის „დროებაში" დაიბეჭდა. სახალხოდ და ბევრს იღვწოდა გლეხობის განათლებისათვის, სოფლის კულტურული დონის ამაღლებისათვის, იგი წერდა პიესებს, დგამდა მათ ახალქალაქში, გორში, სურამში და შემოსავალს საქველმოქმედო მიზნით იყენებდა.

დაუვიწყარია ე. გაბაშვილის ამაგი ქართული საყმაწვილო ლიტერატურის განვითარების საქმეში, არაერთი ბრძოლა გადახდენია თავს საბავშვო ლიტერატურისა და მოზარდთა პრესის შექმნისათვის. მისი სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული პირველი საყმაწვილო ჟურნალის „ნობათის", ხოლო შემდეგ კი „ჯეჯილის" დაარსების ისტორიასთან. ეკატერინე თითქმის ოცდაათი წლის მანძილზე იყო ამ ჟურნალების მუდმივი თანამშრომელი და სარედაქციო კოლეგიის წევრი. საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული" კი თვით ეკატერინემ „მონათლა".

ე. გაბაშვილს შემოქმედებითი მოღვაწეობა მოუხდა ორი უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული თაობის — თერგდალეულთა და ხალხოსანთა მოღვაწეობის დროს. ეს გარემოება განსაკუთრებით ეტყობა მის შესანიშნავ მოთხრობებს: „მეურმის ფიქრები", „დათიკოს მონოლოგი", „თინას ლექური", „თამარის ნუგეში", „გამოჩხვებული ნიკო", „ღვინია გადაიჩეხა" და თითოეული მათგანი ცოცხალი სურათია წარსული საუკუნისა, გლეხკაცის გაუხარებელი, გამწარებული ცხოვრებისა. საოცარი ექო ჰქონდა მის მოთხრობებს.

არანაკლებ აინტერესებდა მწერალ ქალს რეფორმის შემდეგ იმედგაცრუებული გლეხკაცობა, რადგან ბატონყმობის გაუქმებამ ფაქტობრივად არაფერი არ მოუტანა გლეხს. პირიქით, კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა, რასაც უძღვნა მწერალმა ესკიზი „სურათი" რომელიც გლეხის ჭირ-ვარამის ამსახველი მძაფრი ნაწარმოებია.

მწერალმა ქალმა შექმნა დიდებული ეპოპეა დაჩაგრული კაცის გაუბედურებული, უიმედო ცხოვრებისა, და, თუმცა ვერ უჩვენა გზა მომავალი ბრძოლისა, მაგრამ მისი ნაწარმოებები ღაღადებენ სიმართლეს, სამშობლოს სიყვარულს, ადამიანის პატივისცემას.

დიდი ჰუმანისტი, ხალხის საყვარელი 70 წელს მიღწეული მწერალი შეესწრო მშრომელი ხალხის გამარჯვებას, საბჭოთა ხანას, — როცა ხალხს განათლებისა და შემოქმედებითი ცხოვრების ფართო სარბიელი გადაეშალა.

„ჩემი თაობიდან, — წერდა იგი, — მე ყველაზე ბედნიერი ვარ, რადგან მოხუცებულობის ჟამს მაინც მოვესწარი ჩემი თვალით მენახა მხრებგაშლილი დიდი სოციალისტური სამშობლო, წელში გამართული ჩემი ხალხი, რაზედაც ოცნებაც არ შემეძლო ახალგაზრდობაში".

გარდაიცვალა ე. გაბაშვილი 1938 წლის 7 აგვისტოს 87 წლისა მშობლიურ ახალქალაქში, რომელთანაც იგი დაკავშირებული იყო მთელი არსებით.

ქართველმა ხალხმა ღვაწლმოსილი მწერალი ქალი თბილისში გადმოასვენა და დიდის პატივით მიაბარა დიდუბის პანთეონს.

ნინო ჩიხლაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

სურათზე: ეკატერინე გაბაშვილი.

„კიდევაც დაიზრდებიან"

საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატმა პანტომიმის სახელმწიფო თეატრმა ახლახან კიდევ ერთი ახალი სპექტაკლი უჩვენა მაყურებელს. „კიდევაც დაიზრდებიან" — ასე ჰქვია ქართული ხალხური ლეგენდის მიხედვით შექმნილ პიესას, რომლის ავტორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. შალიკაშვილი. მასვე ეკუთვნის პიესის დადგმა და მუსიკალური გაფორმება. მხატვარია საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი ნ. მალაზონია, ქორეოგრაფი — ა. ძნელაძე.

სურათზე: სპექტაკლის სცენები.

ჯ. ლომაძის ფოტო.

წერილი რედაქციას

თუ სურვილი და მონდომება იქნება

ამ ბოლო დროს ბევრი რამ გაკეთდა ჩვენი რესპუბლიკის ისტორიული ძეგლების არა მარტო დაცვისა და რესტავრაციისათვის, არამედ მისი შესწავლისა და პროპაგანდისთვისაც, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა ტურისტებისა და ექსკურსანტების კულტურული მომსახურება. გამოიცა მრავალი ბუკლეტი, გზამკვლევი, საცნობარო ლიტერატურა როგორც საერთოდ რესპუბლიკის, ისე მისი ცალკეული ქალაქების, ისტორიული ძეგლების შესახებ, მაგრამ, ეტყობა, ეს მუშაობა საკმარისი არ არის. მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონით დაწყებული და ვარძიის კლდეში გამოკვეთილი ქალაქის კომპლექსით დამთავრებული ადგილზე ვერსად ვერ შეიძენთ ტურისტთა და ექსკურსანტთათვის განკუთვნილ საცნობარო ლიტერატურას.

ამას წინათ მესხეთ-ჯავახეთი მოვიარე, ვინახულე კულტურის ხელთუქმნელი ძეგლი — ვარძიაც. მოგეხსენებათ, ვარძიაში მუდამ ხალხმრავლობაა. იმ დღესაც ბევრი მნახველი იყო, როგორც ჩვენი, ისე მოძმე რესპუბლიკებიდან და საზღვარგარეთიდანაც კი ყოველი მათგანი, ბუნებრივია, დაეძებდა ბუკლეტს ან რაიმე სხვა საცნობარო ლიტერატურას ვარძიის ისტორიაზე, მაგრამ ამაოდ.

როგორც გამოირკვა, თურმე ვარძიის საექსკურსიო ბიუროს ასეთი რამ არც წინათ და არც ახლა პრაქტიკაში არ ჰქონია. ამით მშვენივრად უსარგებლიათ ფულის მოყვარულებს და ვარძიის ციხემონასტრის კუსტარულად გადაღებული ფოტოსურათები შემოსავლის წყაროდ გაუხდიათ.

ნუთუ საქართველოს ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოთა სამმართველოს და გამსახკომს არ შესწევთ ძალა ერთობლივად გამოასწორონ ეს ხარვეზი — ჩვენი კულტურის ძეგლები უზრუნველყონ ბუკლეტებით და სხვა საცნობარო-საინფორმაციო ლიტერატურით? ეს ხომ დიდ სამსახურს გაუწევდა ჩვენი რესპუბლიკის ისტორიული წარსულით დაინტერესებულ ტურისტებს და ექსკურსანტებს.

ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილეში ამის მიღწევა გადაულახავ სიძნელეებთან არ უნდა იყოს დაკავშირებული, თუ სურვილი და მონდომება იქნება.

ელიზბარ უბილავა

მკითხველის კალმით

გზა სახეს იცვლის

თბილის-თიანეთის გზის 73-ე კილომეტრზე, თიანეთიდან მიმავალი მანქანების მოძრაობას ძნელად დასაძლევი აღმართი აფერხებდა, განსაკუთრებით იგრძნობოდა ეს ზამთარში. საავტომობილო გზების სამინისტროს საპროექტო-კვლევით ინსტიტუტში შემუშავდა პროექტი გრძივი ქანობის შესამცირებლად და მისი სამუშაოები მიმდინარე წლის მეორე კვარტალში დაიწყო.

პროექტით გათვალისწინებულია გრძივი ქანობის 13,5 პროცენტიდან 9,5 პროცენტამდე შემცირება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გზის დაწევის დონე ზოგიერთ ადგილას სამ მეტრს მიაღწევს. სამუშაოებს ასრულებენ მე-3 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის მუშაკები და „საქსახსოფლტექნიკის" თიანეთის რაიონული საწარმოო გაერთიანების მექანიზატორები.

მიმდინარე სამუშაოების შედეგად, რომელთა დამთავრება მეოთხე კვარტალშია გათვალისწინებული, გზას ფართობიც მიემატება და სიგანეც მეტი ექნება. საბოლოოდ კი, გზის ახალი მონაკვეთის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ, აქ მოძრაობის უსაფრთხოების მეტი გარანტია იქნება.

გ. ხოსიაური,
მე-8 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის ინჟინერი.
თიანეთის რაიონი.

სოფლის მხატვრული თვითმოქმედება

სულიერი კულტურის აღმავლობა ისე მჭიდრო კავშირშია მატერიალურთან, რომ ამა თუ იმ სოფლისა თუ რაიონის კულტურის ქებით მის მატერიალურ ძლიერებასაც ვუსვამთ ხაზს. ასეა საერთოდ, მაგრამ...!

ათი და თხუთმეტი წლის განმავლობაში კოლმეურნეობა რომ სისტემატურად ჩამორჩენილი იქნება, იქ კულტმასობრივი მუშაობის აღმავლობაზე ლაპარაკი თითქოს ზედმეტია. ალბათ, ამიტომ შეიგუეს ხევდურეთის კოლმეურნეობაში შემავალი სოფლები ღვლევი, ქვენაფლავი, ჭანდრები, ხოება, ტყემალა, თრეხვი, ქვემო ხევდურეთი თავიანთი კლუბების უმოქმედობას.

აი, სწორედ ამ დროს, თითქოსდა იმის დასამტკიცებლად, რომ შემოქმედება გართობა კი არა, ხასიათის წრთობა, უკეთესის დამკვიდრებისათვის ბრძოლის წანამძღვარია, გამოცოცხლება დაიწყო ზემოხევდურეთელი ახალგაზრდების თვითმოქმედებამ. ნელ-ნელა, თოვლში თავგამოყოფილი ენძელას სიჯიუტით წამოიმართა, მხრები გაშალა და ეკონომიკურად ჩამორჩენილი სოფელი თავისი მხატვრული თვითმოქმედებით რაიონში სამაგალითო გახდა. არათუ მარტო ხევდურეთის კოლმეურნეობაში, საერთოდ რაიონშიც არ მოიძებნება კლუბი, რომლის კოლექტივი წლის განმავლობაში თუნდაც ერთი ისეთი სპექტაკლის მომზადებას შეძლებდა, როგორიც არის ზემოხევდურეთელთა მიერ დადგმული „გაყრა", „ქუთათურები", „ხარატაანთ კერა", „საბრალდებო დასკვნა", „მოსალოდნელი დასასრული", „კოცონი შინდისგორაზე", „უცნობი ქალი", „ოჰაკუნე"...

ბოლო შვიდი წლის განმავლობაში რვა სპექტაკლი დადგეს ზემოხევდურეთელებმა (აგიტმხატვრული ბრიგადების მიერ მოწყობილი კონცერტები თუ კაფე-საღამოები უკვე ისე გახშირდა, მათზე აღარც ლაპარაკობენ), ყოველი დადგმა ჩვიდმეტ-ოცჯერ მაინც ნახეს ქარელის რაიონის სოფლების მშრომელებმა. მათთვის ხშირად გაუწევიათ მასპინძლობა ისეთ კლუბებს, რომელთა მატერიალური ბაზა გაცილებით სჯობს ხევდურეთისას, მაგრამ სპექტაკლების დადგმას ვინ ჩივის, ბევრ კლუბში მარტივი წრეობრივი მუშაობაც კი ჩაშლილია. სამაგალითოდ ბებნისის კულტურის სახლიც იკმარებდა, რომლის მატერიალური ბაზა ხევდურეთისას კი არა, რაიონის კულტსახლსაც გაუწევს მეტოქეობას. აქ შემოქმედებითი მუშაობისათვის განკუთვნილი რიცხვმრავალი ოთახები მიტოვებული და გამოკეტილია. ხევდურეთის კლუბს კი კულისებიც არ გააჩნია, მაგრამ...

ზემოხევდურეთელთა წარმატება მაინც კანონზომიერია, რადგან თვითმოქმედება ადამიანის სულის სახიერ გამოხატულებად, ნათელ ძალად მხოლოდ მაშინ შეიძლება იქცეს, როცა ამ ცივილიზაციით გაბრწყინებული მშვენიერი მისწრაფების შეკრებასა და გამომზეურებას შემოქმედი სულის ადამიანი ითავებს.

სწორედ ასეთი აღმოჩნდა ზემოხევდურეთელი ლამარა ბერძენიშვილი. 19 წლისა იყო, სოფლის ბიბლიოთეკაში რომ დაიწყო მუშაობა. კაფანდარა ბიბლიოთეკარის შინაგანმა ძალამ და წადილმა ხიბლი შემატა წიგნებით გაჭედილ პაწია ოთახს. ბავშვი, მოზარდი უნებურად ესწრაფვის მშვენიერებას და ბიბლიოთეკასაც, მთელი 13 წლის მანძილზე მრავალი სტუმარი ჰყავდა. მკითხველებთან ცალკეულმა საუბრებმა კოლექტიური შეხვედრების სურვილიც შვა, ლექსების კითხვასა და წაკითხული წიგნების განხილვას მხატვრული საღამოები მოჰყვა, მერე კი მოზრდილებიც დაინტერესდნენ, დრამწრეც ჩამოაყალიბეს.

პირველად გ. ერისთავის „გაყრა" წარმოადგინეს. დიდი იყო ამ სპექტაკლით გამოწვეული ინტერესი, მაგრამ სიხარული მაშინ გენახათ, როცა პირველ სპექტაკლს მეორეც მოჰყვა, ეს უკვე იმის ნიშანი იყო, რომ წიგნის მოყვარულთა გატაცება სერიოზული, შემოქმედებითი იყო. მადლიერმა თანასოფლელებმაც გულისხმიერება გამოიჩინეს, ამან კი რწმენა შემატა მონაწილეებს და თვითმოქმედებაში ჩაბმულთა რიცხვიც მნიშვნელოვნად გაიზარდა.

კიდევ უფრო გამოცოცხლდა და მრავალფეროვანი გახდა ზემოხევდურეთის კულტურული ცხოვრება 1973 წლიდან, როცა ლამარა კლუბში გადავიდა სამუშაოდ. თვით კლუბი უღიმღამო და მოუწყობელი იყო, არაფრით შეეფერებოდა ახალგაზრდობის ხალისიან თვითმოქმედებას, არ გააჩნდა მატერიალური ბაზა, სიცივე და უსახსრობა ცივ წყალს ასხამდა ახალი გამგის ფიქრსა და შემართებას.

მაგრამ მონდომებული ქალი დაბრკოლებებსაც გადალახავს. ლამარამაც ყველაფერს სძლია. სარეპეტიციოდ ოთახს მეზობლები უთმობდნენ, დადგმისათვის საჭირო ნივთებსაც სოფელში აგროვებდა, — სოფელი, სულიერი საზრდოს ნაკლებობას რომ განიცდიდა, შეძლებისდაგვარად მხარში ედგა და მის ნაღვაწს აფასებდა.

შრომისმოყვარეობამ, თანასოფლელთა წინაშე მოვალეობის შეგრძნებამ ლამარას არსებულ პირობებში თითქმის შეუძლებელი შეაძლებინა. მუშაობის დაწყების პირველი დღეებიდანვე დრამატულ და აგიტმხატვრულ კოლექტივებს მიუმატა ქორეოგრაფიული წრე, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი, მოგვიანებით კი ჩამოყალიბდა ჭრა-კერვის, გიტარის, საქმის წარმოების და ფორტეპიანოს წრეები, გოგონათა გუნდი, სამედიცინო წრე. ახლახან ამოქმედდა ესთეტიკის წრე და საკონცერტო ბრიგადა, რომელიც ძირითადად ქართულ ხალხურ სიმღერებს გაუწევს პოპულარიზაციას. ამავე მიზანს ისახავს ყმაწვილთა და ხანდაზმულთა გუნდი, რომლებშიც 120 კაცია გაერთიანებული და ჯერ საჯაროდ არ გამოსულა.

მოქმედ წრეებში გაერთიანებულია 280 მოსწავლე და ახალგაზრდა. სოფლისთვის, სადაც სულ 421 ოჯახი ცხოვრობს, ზემოთ დასახელებული ციფრი სოლიდური და მრავლისმეტყველია, სოფლის კლუბისათვის კი ასეთი მრავალმხრივი მუშაობა არცთუ მთლად ჩვეულებრივი მოვლენაა. ამიტომ შარშან ზემო ხევდურეთის კლუბის კულტურის სახლად გადაკეთება მოულოდნელი ჯილდო კი არა, ამ შესანიშნავი კოლექტივის შემოქმედებითი შრომის ღირსეული შეფასება იყო.

— სოფლის ძალა და იმედი ახალგაზრდობაა და თუ მას სამოქმედო გზას უჩვენებ, მხარში ისე ამოგიდგება, შეუძლებელს შეგაძლებინებს, — აი ასე, ორი სიტყვით აგვიხსნა კლუბის გამგემ (უკვე კულტურის სახლის დირექტორმა) თავისი წარმატების საიდუმლო, არც ჩვენ მივძალებივართ, ან რა საჭირო იყო, საქმით ფრთაშესხმული აზრი ისედაც თვალნათლივ ვიხილეთ: სოფელიც მოღონიერდა, ფრთებსა შლის.

მ. მათიაშვილი.

ინფორმაცია — 81

ადგილობრივი პრესის ფურცლებზე

● **რაიონის** მეჩაი-მექანიზატორთა შორის სახელოვანია მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატი ნარგიზა ქანთარია. მექანიზატორმა ქალმა თავისი „საქართველოთი" დიდძალი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი დაამზადა. იგი გეგმას არ სჯერდება, გადაწყვეტილი აქვს სეზონის ბოლომდე თავისი მანქანით 50 ტონა ჩაი მოკრიფოს. („კომუნიზმის დროშით", წალენჯიხა).

● **საქართველოს** ბედუკუღმართ წარსულს არაერთხელ მოუთხოვია ქუდზე კაცი მტრისაგან მამულის დასაცავად. მოუხმობდნენ და ისინიც გამოდიოდნენ. ალბათ, ძალზე იშვიათად გამოერეოდნენ სულმდაბლები, საკუთარ, მერმე ნაძრახად წოდებულ სიცოცხლეს რომ ამჯობინებდნენ ნამუსის ქუდს. ქუდზე კაცს ახლა უღრუბლო ცა უხმობს, ზვრები და პლანტაციები ეძახიან და ნამუსის ქუდს ვინც ატარებს, აჩი-გვარაშიც უყოყმანოდ გამოდის ამ დაძახილზე. გამოდის ოჯახების უკლებლივ ყველა წევრი — არ ეპუებიან არც სიცხეს, არც ავდარს. ოჯახები პატარა სახელმწიფოებს მოგვაგონებენ ამ ახალ ხუთწლედშიც. („ლენინელი", გალი.).

● **პალიასტომის** ტბა ერთ-ერთი უძველესი და უდიდესია საქართველოს ტბებს შორის. პალიასტომის ტბის ჰიდროდინამიკური რეჟიმისა და ტბის ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენის ღონისძიებათა შესახებ რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების მიხედვით პალიასტომის ტბა და მისი ერთკილომეტრიანი სანაპირო ზოლი გამოცხადდა რესპუბლიკური მნიშვნელობის ჰიდროლოგიურ ნაკრძალად. აქ აკრძალულია თევზჭერა, გარეულ ფრინველებზე ნადირობა, ნაოსნობა სპეციალური ნებართვის უქონლად, ყოველგვარი მშენებლობა, გარდა ჰიდროლოგიური ნაგებობებისა. განხორციელდა ტბის გამტკნარებისა და თევზის გამრავლების ღონისძიებანი. ტბაში უკვე ჩაშვებულია ზუთხის რამდენიმე მილიონი ლიფსიტა... („ახალი კოლხეთი", ფოთი).

● **ირაკლი მარგიშვილი** 23 წელზე მეტია რუსთავის ელექტროსამაგრების საწარმოში მუშაობს. იგი მუდამ მოწინავეთა რიგებშია, წარმატებით ასრულებს სახელმწიფო გეგმებსა და ნაკისრ ვალდებულებებს. მან სახელო შედეგებით გააცილა ახალი ხუთწლედის პირველი ნახევარი, ახლა კვლავ დიდი შემართებით იბრძვის უფრო თვალსაჩინო წარმატებებისათვის. („ელექტრიკოსი", თბილისი).

მეცნიერის საჩუქარი

ამბროლაური. (საკ. კორ.). რაიონის ბევრ გამოჩენილ ადამიანს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მუშაობენ, საქმიანი, ახლო ურთიერთობა აქვთ მშობლიურ კუთხესთან. ერთ-ერთი მათგანია სახელგანთქმული მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი რაფიელ დვალი. მან ზედაშავრელ თანასოფლელებს ბიბლიოთეკის გასახსნელად საჩუქრად გადასცა საკუთარი სახლი. წელი არ გავა, რომ აკადემიკოსმა სოფლის კულტურულ დაწესებულებას თავისი ახლად გამოცემული ნაშრომი არ გაუგზავნოს.

ამ დღეებში რ. დვალი კვლავ მშობლიურ სოფელს ეწვია. მშრომელებთან შეხვედრა საზეიმოდ მორთულ კლუბში კი არ მოეწყო, არამედ მეცნიერის მამაპაპეულ ეზოში, სათუთად რომ უვლიან მეზობლები და ახლობლები.

ბევრი კარგი, თბილი სიტყვა უთხრეს თანასოფლელებმა მეცნიერს და თან განაწესიც წაუყენეს — სთხოვეს აქტიური მონაწილეობა, რომ დაჩქარდეს მთიან რაჭაში სამთო მექანიზაციის დანერგვა.

მშობლიური სოფლიდან საქმიანმა სჯა-ბაასმა პარტიის ამბროლაურის რაიკომში გადაინაცვლა. რ. დვალმა რაიონის აქტივისტების ყურადღება გაამახვილა იმ პრობლემებზე, რომლებიც დღეს დგას მთის რეგიონის მოსახლეობის წინაშე.

მუზეუმი ღია ცის ქვეშ

ონი. (საკ. კორ.). შინმოუსვლელთა მემორიალის გვერდით დაიწყო მიმდებარე ტერიტორიის ქვის ყორით შემორაგვის სამუშაოები. აქ არქიტექტორ თ. სესიაშვილის წინადადებით ღია ცის ქვეშ შენდება რაჭის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფილიალი — „რაჭული კარ-მიდამო".

ეს არის საინტერესო სამუზეუმო ექსპოზიცია, სადაც ერთმანეთს შეერწყმის როგორც კუთხის ძველი ყოფისათვის დამახასიათებელი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, ასევე კარმიდამოს კომპლექსში შემავალი სხვა ძირითადი ელემენტები, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან რაჭის სამეურნეო ყოფა-ცხოვრებაზე.

ფილიალში დიდ ადგილს დაიკავებს უძველესი საცხოვრებელი ნაგებობა — შუა სახლი. ეს ექსპონატი უკვე შეძენილია და იგი იშვიათობათა რიცხვს განეკუთვნება. დამთვალიერებელთა ყურადღებას უთუოდ მიიქცევს რაჭული ე. წ. პალატიანი ოდა-სახლი. მის გვერდით ვენახი გაშენდება. აქვე მოეწყობა მარანი, რომელშიც დაიდგმება ჭაჭის საწნეხი დანადგარი — რაჭული წნერო. მუზეუმში თავისი ადგილი აქვს მიჩნეული თონეს, რომლის გვერდით საფიხნე მოეწყობა. აქვე განლაგდება სამეურნეო იარაღები — რაჭული სახვნელი, მარხილი, ფოცხი, კაბდო და სხვ.

კარ-მიდამოს კომპლექსს დაამშვენებს სასიმინდე, რომელიც მეტად დამახასიათებელი იყო რაჭისათვის და ახლა იშვიათობას წარმოადგენს. ცალკე ტერიტორია დაეთმობა ისეთ ექსპონატებს, როგორიც არის საფლავის წარწერიანი და ჩუქურთმიანი ქვები, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის დამთვალიერებელს ქვის დამუშავების ხალხურ ტექნიკაზე.

მისაბაძი თაოსნობა

ტყიბული. (საკ. კორ.). შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინა აქაურმა ლიტერატურულ-შემოქმედებითი გაერთიანების კოლექტივმა. მისმა წევრებმა ქალაქის ზონის სოფლებში დაიწყეს ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეგროვება.

მათ უკვე ჩაიწერეს მრავალი ხალხური ლექსი, ლეგენდა, თქმულება, სიმღერა და სხვ.

ლიტერატორთა ერთ-ერთი მორიგი სხდომა მიეძღვნება თემას: „ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები".

ახალი სავაჭრო ცენტრი

ქარელი. (საკ. კორ.). რუისი არა მარტო ქარელის რაიონში, მთელ ქართლშიც კი ერთ-ერთი დიდი და მჭიდროდ დასახლებული სოფელია. აქ 1200-ზე მეტი კომლი ცხოვრობს.

ამის მიუხედავად, რუისელები დღემდე სავაჭრო მომსახურებაში სიძნელეებს განიცდიდნენ. ის ორიოდე სავაჭრო ობიექტიც კი, რომლებიც სოფელს ჰქონდა, დაქირავებულ ბინებში იყო მოთავსებული.

და აი, ამ დღეებში აქ ახალი სავაჭრო ცენტრი გაიხსნა. თანამედროვე, სტილით ნაგებმა ორსართულიანმა უნივერმაღმა ფართოდ გაუღო კარი მომხმარებელს. მის პირველ და მეორე სართულზე განლაგდა მზა ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, საოჯახო-სამეურნეო, გალანტერიისა და პარფიუმერიის სექციები. სავაჭრო ცენტრს აქვს სასაწყობო მეურნეობა, აქ ნორმალური მუშაობის ყველა პირობაა შექმნილი.

შემთხვევა

სიკვდილს გამოსტაცა

ბორჯომი. (საკ. კორ.). პაპანაქება სიცხეში მდინარე მტკვარზე საბანაოდ გასულ ბორჯომის სატყეო ტექნიკუმის მე-4 კურსის სტუდენტს ი. ვაჩეიშვილს განწირული კივილი შემოესმა:

— არიქა, იღრჩობა, უშველეთ!

ი. ვაჩეიშვილი არც დაფიქრებულა, ისე გადაეშვა მოდიდებულ მდინარეში, თვალი კი მოჰკრა, შორიახლო, ტალღებს გონებადაკარგული და სასოწარკვეთილი ადამიანი მიჰქონდა...

დიდხანს გაგრძელდა ტალღებთან ბრძოლა და წყალწაღებულის ნაპირზე გამოყვანა. იგი მეცხრეკლასელი გოგონა მ. ქ. აღმოჩნდა.

ი. ვაჩეიშვილმა გონდაკარგულს ხელოვნური სუნთქვა ჩაუტარა და რამდენიმე ხნის შემდეგ გოგონამ თვალი გაახილა. ეს ამბავი ამ დღეებში მოუთხრო თავის მკითხველებს ბორჯომის რაიონულმა გაზეთმა „ბორჯომმა".

ფეხბურთი ამბები

თასს მეშვიდედ დაეუფლნენ

გუშინ თბილისში დამთავრდა ფეხბურთელთა ფინალური ტურნირი „სიჭაბუკის თასზე". ამ ასპარეზობის ბოლო ტურის შედეგები ასეთია: მოსკოვი-უკრაინა — 0:1, სომხეთი-„შრომითი რეზერვები" — 3:0, საქართველო-ლიტვა — 2:0.

ამრიგად, საქართველოს ნაკრებმა 9 ქულა დააგროვა და „სიჭაბუკის თასის" გათამაშების ისტორიაში თასს მეშვიდედ დაეუფლა. მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: უკრაინა — 8 ქულა, სომხეთი — 7, ლიტვა — 3, მოსკოვი — 2, „შრომითი რეზერვები" — 1 ქულა.

უცხოეთის სტადიონებზე

პრაღაში გაიმართა ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ამხანაგური მატჩი ამ ქვეყნისა და ევროპის ნაკრებ გუნდებს შორის. მასპინძლებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 4:0. ორ-ორი ბურთი გაიტანეს კოზაკმა და ნეხოდამ.

ევროპის ნაკრების შემადგენლობა ასეთი იყო: კონსილია — ავსტრია (პანტელიჩი — იუგოსლავია), კალტცი — გფრ (მიშელი — საფრანგეთი), პეცაი — ავსტრია, სტოიკოვიჩი — იუგოსლავია, ზაცი — იუგოსლავია, უმბერტო — პორტუგალია (პროხასკა — ავსტრია), ანტონიონი — იტალია, [illegible] ფიანი — სსრკ, შურიაკი — იუგოსლავია (ნილაში — უნგრეთი), კრანკლი — ავსტრია (მავროსი — საბერძნეთი), ბლოხინი — სსრკ.

სამხრეთ ამერიკის მეორე შესარჩევით ჯგუფში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის კალენდრით გათვალისწინებული მატჩი. პერუს ნაკრებმა მიიღო კოლუმბიელთა გუნდი. გაიმარჯვეს პერუელებმა — 2:0. ახლა ამ ჯგუფში პერუელებს 3 ქულა აქვთ (2 თამაშიდან), ურუგვაელებს — 2 (ერთიდან), კოლუმბიელებს — 1 (3 დან).

დაიწყო ავსტრიის ჩემპიონატი. ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშებაში თბილისის „დინამოს" მეტოქე „გრაცერ აკ"-მა პირველ ტურში სტუმრად დაამარცხა ინსბრუკის სვ — 3:2, უეფას თასის გათამაშებაში ცსკას მეტოქემ გრაცის „შტურმმა" კი მოუგო ვენის „რაპიდს" — 4:2.

კალეიდოსკოპი

პროფესიონალ ფეხბურთელთა ყიდვა-გაყიდვა უცხოეთში რომ ჩვეულებრივი ამბავია, ყველამ იცის. მაგრამ ბრაზილიის საკლუბო გუნდის „ბოტაფოგოს" მესვეურებმა „ნატურით" გადახდის წესი აირჩიეს. როგორც ბრაზილიური ჟურნალი „ვეჟა" იუწყება, მათ თავიანთი საუკეთესო მოთამაშე რობერტო ნასიმენტო გაცვალეს... სხვა კლუბის ავტობუსზე.

სატურნირო ორბიტა

ჭადრაკი. რიგაში მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაში 7,5 ქულით და 2 გადადებული პარტიით ლიდერობს ვ. ცეშკოვსკი. მ. ტალი ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება, მაგრამ მასაც 2 დასამთავრებელი პარტია აქვს.

ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატში, რომელიც პალო-ალტოში გაიმართა, ხუთმა მოჭადრაკემ თანაბარი რაოდენობის ქულები დააგროვა. გაიცანით გამარჯვებულები: ფლორინ გეორგიუ (რუმინეთი), ლარი ქრისტიანსენი, ჯერემი სილმენი, ნიკ დეფირმიანი და ჯონ მიერი (ოთხივე — აშშ).

ჰოკეი. ჰელსინკში გაიმართა მეორე ამხანაგური მატჩი ფინეთისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის. ამჯერადაც საბჭოთა ჰოკეისტებმა გაიმარჯვეს — 5:2.

რედაქტორის მოადგილე
გ. ნაჭყებია.

ტელევიზია

20 აგვისტო

პირველი პროგრამით: 09.00 „ვრემია" (მ), 09.40 — დილის ვარჯიში (მ), 10.00 — „მოამბე", 17.35 — „ჩვენი საზაფხულო კინოდარბაზი" — ქართული მხატვრული ფილმი „არდადეგები", 18.40 — მეგობრების გამოცდილება", 19.05 — „ხალხური შემოქმედება" — „სვანეთის ხეობის საუნჯე", 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ), 20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.30—ახალგაზრდობისათვის — კინოგადაცემა „დებიუტი", 21.40 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კორჩილი", 22.00 — „ვრემია" (მ), 22.35 — მესამე შრომითი სემესტრის მონაწილეთათვის — საესტრადო კონცერტი — „სტარტის სიმღერით", 23.25 — „მოამბე".

მეორე პროგრამით: 18.40 — განცხადებები, 18.45 — მხატვრული ფილმი „ორი ღიმილი".

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონებია:

ლენინის ქ. 14.
380096, თბილისი-96,

რ ე დ ა ქ ც ი ა:

რედაქტორის მოადგილეები — 99-98-08, 99-08-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 98-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-68-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის—98-20-84, საბჭოთა მშენებლობის — 93-48-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 98-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისალების — 98-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 431-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-38-10; ახალციხე — 2-08-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-23-44; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 38-55; თელავი — 12-09; წითელწყარო — 28-66; ტყიბული — 95-83.



საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434

უე 14560

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20